პროფესიული კვალიფიკაციების შემუშავებისა და გადამუშავების ახალი მეთოდოლოგია

(სამუშაო ვერსია)

ბრეგვაძე თამარ, გახარია, დიანა, რუხაძე, თამარ

2021 წელი

შინაარსი

1. შესავალი 3

2. ადგილობრივი კონტექსტი და გამოწვევები 5

2.1. პროფესიული განათლების სისტემის განვითარების მიმდინარე ამოცანები საქართველოში..... 5

2.2. კვალიფიკაციების შემუშავებასა და განვითარებასთან დაკავშირებული გამოწვევები 7

3. კვალიფიკაციების შემუშავებისა და გადამუშავების მეთოდოლოგიის ძირითადი მიდგომები 12

3.1. ცვლილებების სამი მიმართულება 12

3.2. კვალიფიკაციის ფორმირების ზოგადი პრინციპები - დარგობრივი რუკა..... 14

3.2. სტანდარტების შინაარსი და სტრუქტურა 15

3.3. კვალიფიკაციების ფორმირების პროცესი 23

4. კვალიფიკაციების შემუშავებაში/გადამუშავებაში ჩართული მხარეები 26

5. კვალიფიკაციის შემუშავების ეტაპები 27

5.1. დარგობრივი რუკის თავდაპირველი ვერსიის ფორმირება და ცვლილებების პროექტის შემუშავება 29

5.2. კვალიფიკაციების საზღვრების, ფორმულირების და ხანგრძლივობის შესახებ პირველადი იდეის ჩამოყალიბება..... 31

5.3. კვალიფიკაციის სავარაუდო დონის განსაზღვრა 32

5.4. პროფესიის სტანდარტის ფორმირება..... 34

5.5. პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის ფორმირება 38

6. პროფესიის სტანდარტისა და პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის შექმნის, განახლების და გაუქმების პროცედურა 41

7. რეკომენდაციები შემდგომი განვითარებისთვის 55

8. დანართები 58

9. გამოყენებული წყაროები..... 59

1. შესავალი

საქართველოში პროფესიული კვალიფიკაციების შემუშავებისა და გადამუშავების ახალ კონცეფციასა და წესზე მუშაობა ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს განვითარების უფრო ფართო კონტექსტის ნაწილია.

ამ ფართო კონტექსტში პროფესიული კვალიფიკაციების სტრუქტურისა და შინაარსის, ისევე როგორც შემუშავების გზების სრულყოფა მოიაზრება არა როგორც ტექნიკური ამოცანა, არამედ უფრო ფართო მიზნების მიღწევის ინსტრუმენტი, რომელიც ადამიანური კაპიტალის განვითარების ზოგად მიზანს ემსახურება.[1][2][3][4]

კერძოდ, კვალიფიკაციების სრულყოფის მიმართულებით მუშაობა წარმოადგენს შესაძლებლობას:

- ადამიანური რესურსების მომზადებისა და გადამზადების სტრატეგიების ბაზრის საჭიროებებზე უკეთ მორგებისთვის - სწავლებისა და ბაზრის ქვესისტემების დაახლოებისთვის;
- ადამიანური რესურსების მომზადებისა და გადამზადების გზების/პროცესების ოპტიმიზაციისთვის - სწავლის უფრო მოქნილი, მრავალფეროვანი, და მაქსიმლურად სწრაფი გზების შეთავაზებისთვის;
- მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლის კონცეფციის რეალობაში განხორციელების ხელშეწყობისათვის - სწავლა-სწავლების პროცესში ჩართულობის გაზრდისთვის ყველა ასაკობრივ კატეგორიაში და პროფესიული განვითარების ნებისმიერ ეტაპზე;
- სწავლა-სწავლების ხარისხის სრულყოფისათვის - ხარისხის მართვის კრიტერიუმებისა და მექანიზმების განვითარებისთვის;
- კარიერული განვითარების პროცესის დაჩქარებისა და გაადვილებისთვის - სხვადასხვა გზით სწავლის შედეგების აღიარების ხელშეწყობისთვის, სწავლის პროცესში პროგრესის მკაფიო გზების ჩამოყალიბებისათვის;
- ყველა ჩამოთვლილი მიზნის მისაღწევად სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეს შორის (დამსაქმებელი, პროფესიული სტუდენტი, პროვაიდერი) საერთო ენის ფორმირებისა და

---

[1] Change, W. O. (2015). OECD Reviews of Vocational Education and Training Todd, R., & Dunbar, M. (2018). Taking a whole of government approach to skills development. UNESCO Publishing.

2 Organisation for Economic Co-operation and Development, & ed Puukka. (2012). Post-secondary vocational education and training: pathways and partnerships. OECD

3 De Beer, J., & Van Zyl, A. (2017). The factors that affect student integration into a TVET College.

4 Todd, R., & Dunbar, M. (2018). Taking a whole of government approach to skills development. UNESCO Publishing.

თანამშრომლობის ხელშეწყობისთვის - ადგილობრივი და საერთაშორისო მასშტაბით სამუშაო ძალის განვითარებაზე მიმართული ძალისხმევის სინქრონიზაციისთვის.

მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთ ქვეყანაში (ინგლისი, ახალი ზელანდია, ავსტრალია) კვალიფიკაციების ჩარჩო ევროპული ტრენდის გამოკვეთამდე გაცილებით ადრე შეიქმნა, კვალიფიკაციების ჩარჩოთი დაინტერესების საერთო ევროპული ხედვა მხოლოდ ბოლო ორი ათწლეულის განმავლობაში გამოიკვეთა. სავარაუდოდ, ამ საერთო ტენდენციას ზემოთ ჩამოთვლილი ზიარი პრიორიტეტები წარმოადგენს, რომლებიც, თავის მხრივ, სამუშაო ბაზრის სწრაფი რესტრუქტურიზაციით (ახალი პროფესიები, ახალ უნარებზე მოთხოვნა), სწავლა-სწავლების მოდალობებისა და კონცეფციების ძირეული ცვლილებით (ელ. ტექნოლოგიების განვითარება, სასწავლო რესურსების ხელმისაწვდომობის გაზრდა, თვითრეგულირებადი სწავლა) და სამუშაო ძალის მობილობის მაჩვენებლების გაზრდით არის განპირობებული. [5] [6]

კვლევების თანახმად, ყველა ქვეყანაში, სადაც ამჟამად მიმდინარეობს პროფესიული კვალიფიკაციების სისტემის რეფორმა, ძირითად მიზანს წარმოადგენს სწავლების, შეფასებისა და სწავლის შედეგების აღიარების პრაქტიკის გაუმჯობესება. [7]

საერთო გამოწვევების ფონზე მსოფლიოს მასშტაბით, ისევე როგორც ევროპის და, კონკრეტულად, საქართველოს კონტექსტში იკვეთება შემდეგი საერთო ამოცანები:

- კომპეტენციებზე დაფუძნებული სწავლების მოდელის განვითარება;
- სწავლების მოდულური მიდგომის განხორციელება;
- დაინტერესებული მხარეების ჩართვა და თანამშრომლობის უფრო ინკლუზიური მოდელების შემუშავება კვალიფიკაციის მართვის ყველა ეტაპზე (შემუშავება, განხორციელება, შეფასება, სწავლის შედეგების აღიარება);
- კომპეტენციების, კვალიფიკაციებისა და პროფესიების განზომილებებს შორის ბმების გაძლიერება როგორც ქვეყნების შიგნით, ისე ქვეყნებს შორის - საერთო რეფერენციული სისტემების,კლასიფიკატორებისა და ტაქსონომიების შექმნა და განვითარება.

წარმოდგენილი დოკუმენტი მიმოიხილავს საქართველოში პროფესიული კვალიფიკაციების შემუშავებისა და გადახედვის ახალი მოდელის ძირითად ორიენტირებს. იგი აღწერს:

- საქართველოს კონტექსტში არსებულ ადგილობრივ გამოწვევებს, რომელსაც ახალმა მოდელმა უნდა უპასუხოს;

---

[5] European Centre for the Development of Vocational Training (Cedefop), 2010. Changing qualifications. A review of qualifications policies and practices.

[6] European Centre for the Development of Vocational Training, European Training Foundation, United Nations Educational, Scientific and Cultural Organisation, and UNESCO Institute for Lifelong Learning, 2019. Global inventory of regional and national qualifications.

[7] European Training Foundation. 2014. Making better vocational qualifications. Vocational qualifications systems in ETF partner countries

- ახალი მოდელის ძირითად პრინციპებსა და კონცეპტუალურ ასპექტებს;
- საერთაშორისო ტენდენციებსა და საუკეთესო პრაქტიკას, რომელიც ახალი კონცეფციის საფუძველს წარმოადგენს.

2. ადგილობრივი კონტექსტი და გამოწვევები

2.1. პროფესიული განათლების სისტემის განვითარების მიმდინარე ამოცანები საქართველოში

საქართველოში პროფესიული განათლების რეფორმის პროცესი 2005 წლიდან დაიწყო. რეფორმის ძირითადი პრიორიტეტები ასახულია პროფესიული განათლების სტრატეგიაში (2013 – 2020) და საქართველოს კანონში პროფესიული განათლების შესახებ (2018). ამ რეფორმის ძირითადი ორიენტირები თავსებადია მსოფლიო ტენდენციებთან და პირობითად რამდენიმე ძირითად მიმართულებად შეიძლება დაჯგუფდეს.[8] მიუხედავად იმისა, რომ ეს მიმართულებები ზოგადია, ისინი ძალიან მნიშვნელოვანია პროფესიულ განათლებაში კვალიფიკაციების ფორმირების პროცესის შემდგომი დახვეწის კონცეფციის გააზრებისთვის. ეს მიმართულებებია:

1. **პროფესიული განათლების მართვისა და ინსტიტუციური მოწყობის ცვლილება დამსაქმებლებისა და სხვა სოციალური პარტნიორების ჩართულობისა და მათი კუთვნილების ხარისხის გაზრდის მიზნით**

2010 წელს საქართველოში დამტკიცდა ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩო. სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ ბოლო ათი წლის განმავლობაში კვალიფიკაციების ფორმირების პროცესში ბევრ მნიშვნელოვან კონცეპტუალურ ცვლილებას ჩაეყარა საფუძველი - ამოქმედდა სხვადასხვა დაინტერესებული მხარის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებაში ჩართვის მექანიზმები, დაინერგა მოდულური მიდგომა და დაიწყო დუალური პროგრამების განხორციელება, მუდმივად მიმდინარეობდა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტებისა და პროფესიული სტანდარტების სტრუქტურის სრულყოფა სამუშაო ბაზრის მოთხოვნების პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებში უკეთ ასახვისთვის.

2021 წელს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის მიერ ერთობლივად დაფუძნდა პროფესიული უნარების სააგენტო, რომლის მიზანია ქვეყნის ადამიანური კაპიტალის გაძლიერება საჯარო და კერძო სექტორების ერთობლივი ძალისხმევითა და პასუხისმგებლობების გაზიარების გზით. ამავე

[8] საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო (2013). პროფესიული განათლების განვითარების სტრატეგია 2013 - 2020

დროს, საქართველოში ფორმირების პროცესშია ე.წ. დარგობრივი უნარების ორგანიზაციები, რომლებზეც გათვალისწინებულია პროფესიული განათლების სფეროში ბევრი მნიშვნელოვანი ფუნქციის დელეგირება, როგორიცაა, მაგალითად, პროფესიისა და პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტების შემუშავება.

მართვის კერძო-საჯარო პარტნიორობაზე დაფუძნებული მოდელის გაძლიერების მცდელობები საქართველოში ეყრდნობა დაშვებას, რომ დამსაქმებლის ჩართულობის შემდგომი გაზრდა უზრუნველყოფს სამუშაო ძალის მომზადების უფრო მოქნილი და რელევანტური პროგრამების შექმნას, სწავლის პროცესის უკეთეს კოორდინაციას, მიწოდებისა და სამუშაო ბაზრის მოთხოვნის სინქრონიზაციას და ზოგადად, განათლების ხარისხის მნიშვნელოვან გაუმჯობესებას.

პროფესიული განათლების მართვის პროცესში მეტი ჩართულობა ხელს შეუწყობს დამსაქმებლისა და სხვა მხარეების ინტერესების უკეთესად გათვალისწინებას პროფესიული განათლების ზოგად სტრატეგიაში, ისევე როგორც დარგობრივი უნარების ორგანიზაციებისა და დარგობრივი სხვა ბიზნეს ასოციაციების, პროფესიული ქსელების გაძლიერებას.

2. პროფესიული განათლების საჯარო პროვაიდერების ავტონომიის გაზრდა და მართვის ფუნქციების დეცენტრალიზაცია - მსოფლიოს, ისევე როგორც საქართველოს მასშტაბით, პროფესიული განათლების საჯარო პროვაიდერები დღეს გაცილებით მეტი თავისუფლებით სარგებლობენ ავტონომიის სხვადასხვა განზომილებაში (საკადრო, ფინანსური, აკადემიური და მართვის ავტონომია), რაც გულისხმობს მეტ უფლებებს რესურსების მოზიდვისა და განკარგვის, ისევე როგორც პროგრამების შინაარსის, სასწავლო მასალის, სწავლების ფორმებისა და მეთოდების, პარტნიორი ორგანიზაციების და ა.შ. განსაზღვრის მიმართულებით.

კვალიფიკაციების შემუშავების კომპონენტში დეცენტრალიზებული მიდგომის გამოყენება, აგრეთვე, შეიძლება მოვიაზროთ, როგორც პროფესიული განათლების პროვაიდერების ორგანიზაციული განვითარების ერთ-ერთი ინსტრუმენტი. კვალიფიკაციის მოქნილი სტრუქტურა და კვალიფიკაციების მართვის პროცესში მეტი ჩართულობა ხელს შეუწყობს პროვაიდერ ორგანიზაციებში შიდა ორგანიზაციული შესაძლებლობების განვითარებას სასწავლო პროგრამების ხარისხის ციკლის მართვის თვალსაზრისით.

3. აკადემიურ და პროფესიულ განათლებას შორის ტრადიციული საზღვრების წაშლა, პროფესიული განათლების პოპულარიზაცია - პროფესიული განათლების სისტემაში სწავლების სხვადასხვა ფორმის (დუალური, კოოპერაციული) დანერგვა და მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლის კონცეფციის პრაქტიკაში განხორციელება საქართველოს ერთ-ერთი სტრატეგიული მიზანია. ამ მიმართულებით სამართლებრივი და ადმინისტრაციული ბარიერების აღმოფხვრასთან ერთად, მნიშვნელოვანია საზოგადოების ინფორმირება პროფესიული განათლების სხვადასხვა ფორმის, ისევე როგორც ზოგადი, პროფესიული და უმაღლესი განათლების საფეხურების ურთიერთმიმართების, თავსებადობისა და მათ შორის მობილობის კონკრეტული გზების შესახებ.

პროფესიული კვალიფიკაციების მართვაში დამსაქმებლებისა და პროვაიდერების მეტად ჩართვა კვალიფიკაციების შემუშავების, განხორციელებისა და შეფასების პროცესში პროფესიული განათლების მიზნების, ისევე როგორც თავად კვალიფიკაციების ჩარჩოს იდეისა და მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლის კონცეფციის შესახებ ცნობიერების ამაღლებასაც შეუწყობს ხელს.[9] კარგი საინფორმაციო პორტალებისა და სისტემების არსებობის შემთხვევაში, დაინტერეული მხარეები მეტ ინფორმაციას მიიღებენ პროფესიული განათლების იდეისა და მიზნების, კომპეტენციებზე დაფუძნებული სწავლებისა და მოდულური მიდგომის არსის შესახებ.

2.2. კვალიფიკაციების შემუშავებასა და განვითარებასთან დაკავშირებული გამოწვევები

მიუხედავად სისტემაში განხორციელებული მნიშვნელოვანი ცვლილებებისა, საქართველოში მოქმედი კვალიფიკაციების გადახედვისა და კვალიფიკაციის შემუშავების ზოგადი პრინციპები შემდგომ გაუმჯობესებას საჭიროებს.

ამ მიმართულებებით არსებული გამოწვევები ორ ურთიერთდაკავშირებულ დიდ ჯგუფში შეიძლება გავაერთიანოთ: ა) კვალიფიკაციების სტრუქტურის ფორმირებასთან დაკავშირებული გამოწვევები; და ბ) კვალიფიკაციების შემუშავების პროცესთან დაკავშირებული გამოწვევები.

კვალიფიკაციების სტრუქტურის ფორმირებასთან დაკავშირებული გამოწვევები

კვალიფიკაციის სტრუქტურის განმსაზღვრელ ძირითად დოკუმენტს საქართველოში პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტი წარმოადგენს. საქართველოში მოქმედი პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტების შინაარსობრივი ანალიზი ხუთ მნიშვნელოვან გამოწვევაზე მიგვანიშნებს. ეს გამოწვევებია: (1) პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის სტრუქტურისა და კვალიფიკაციების ფორმირების პრინციპების ერთგვაროვნების უზრუნველყოფა; (2) პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის ველების შინაარსის დაზუსტება; (3) პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის მოდულების და სწავლის შედეგების მნიშვნელობის და წონის ერთგავროვნების უზრუნველყოფა; (4) პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტში 8 საკვანძო კომპეტენციის უკეთ ასახვა; (5) სტანდარტების უკეთ მორგება სამუშაო ადგილზე სწავლის კონტექსტზე.

3. პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის სტრუქტურისა და კვალიფიკაციების ფორმირების პრინციპების ერთგვაროვნების უზრუნველყოფა

პროფესიული განათლების სივრცეში არსებული პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტები და, შესაბამისად, კვალიფიკაციები სხვადასხვა სტრუქტურით არის

[9] Brockmann, M., Clarke, L., Méhaut, P., & Winch, C. (2008). Competence-based vocational education and training (VET): The cases of England and France in a European perspective. Vocations and Learning, 1(3), 227-244.

წარმოდგენილი, რაც პრობლემებს ქმნის მათი ურთიერთთავსებადობის და აღქმადობის თვალსაზრისით. კერძოდ, დოკუმენტებში არაერთგვაროვნად არის წარმოდგენილი შემდეგი ინფორმაცია და ურთიერთმიმართებები: კვალიფიკაციის დასახელებები; არჩევითი მოდულების ბლოკის მოცულობა, მრავალფეროვნება და მიზნობრიობა; საერთო პროფესიული მოდულების მოცულობა, მრავალფეროვნება და მიზნობრიობა.

4. პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის ველების შინაარსის დაზუსტება

პროფესიულ საგანმანათლებლო სტანდარტებში ვხვდებით დამატებით, ატიპიურ ჩანაწერებსა და ველებს, ერთი და იგივე შინაარსის ჩანაწერებს სხვადასხვა დასათაურებით, ან ერთი და იგივე დასათაურების ჩანაწერებს სხვადასხვა შინაარსით. ამგვარი ხარვეზის მაგალითია „სწავლის შედეგების“ ორი განსხვავებული მნიშვნელობით გამოყენება პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის ძირითად დოკუმენტსა და თანდართულ მოდულებში.

პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის შემუშავებისა და გადახედვის ეტაპისთვის საყურადღებო საკითხების ნუსხაში, აგრეთვე, შედის მოდულის ნაწილებს შორის შინაარსობრივი ურთიერთკავშირის დაცვა. მაგალითად, თემატიკის, კომპეტენციის პარამეტრების ან შეფასების მიმართულებების გრაფებში მოცემული ჩანაწერების შინაარსის თავსებადობის უზრუნველყოფა სწავლის შედეგებსა და შესრულების კრიტერიუმებთან, ისევე როგორც თავად შესრულების კრიტერიუმების გაზომვადობის უზრუნველყოფა.

გადასახედია პროფესიული სტანდარტის აღჭურვილობის ველის განახლების სიხშირის საკითხი, რათა შესაძლებელი გახდეს დარგის/პროფესიის ფარგლებში განვითარების ტენდენციების დროულად ასახვა სასწავლო პროცესში.

5. პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის მოდულების და სწავლის შედეგების მნიშვნელობის და წონის ერთგვაროვნების უზრუნველყოფა

სხვადასხვა პროფესიულ საგანმანათლებლო სტანდარტში არაერთგვაროვანია მოდულის და მოდულით გათვალისწინებული სწავლის შედეგების სირთულის/კომპლექსურობის ხარისხი. ზოგიერთი სწავლის შედეგი ზედმეტად მარტივია, ზოგიერთი კი იმდენად რთული, რომ რამდენიმე სწავლის შედეგად შეიძლება დაიშალოს. შესაბამისად, სტანდარტებში ვხვდებით განსხვავებული წონის მოდულებს, ხოლო მოდულის შიგნით - განსხვავებული პრინციპითა და დეტალიზაციით ფორმულირებულ სწავლის შედეგებს. ასევე, არაერთგვაროვნად არის ფორმულირებული მოდულების სახელწოდებები.

დასაზუსტებელია ზოგიერთი მოდულის (მაგალითად, საწარმოო პრაქტიკა, გაცნობითი პრაქტიკა) გამოყენების საერთო პრინციპები პროფესიულ საგანმანათლებლო სტანდარტებში, ისევე როგორც ამ მოდულების განხორციელების პრაქტიკული ასპექტები.

6. პროფესიულ საგანმანათლებლო სტანდარტში 8 საკვანძო კომპეტენციის უკეთ ასახვა

ევროსაბჭოსა და ევროპარლამენტის რეკომენდაციების საფუძველზე მნიშვნელოვანია 8 საკვანძო კომპეტენციის ინტეგრირება პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებში. ზოგიერთ პროფესიულ საგანმანათლებლო სტანდარტში მოცემულია ჩანაწერი 8 საკვანძო კომპეტენციის შესახებ, თუმცა არ ჩანს მათი ურთიერთმიმართება მოდულებთან/სწავლის შედეგებთან და არ არის მკაფიო თუ რომელი მოდულით/სწავლის შედეგით არის მიღწევადი 8 საკვანძო კომპეტენცია.

7. სტანდარტების უკეთ მორგება სამუშაო ადგილზე სწავლის კონტექსტზე

ზოგიერთი პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის მოდულებით განსაზღვრული წინაპირობები მნიშვნელოვნად ართულებს სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების, კერძოდ, დუალური მიდგომით სწავლების განხორციელების პროცესს. სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების მიზნებისთვის საჭიროა სამუშაოს სპეციფიკის გათვალისწინება, „სწავლა მუშაობით“ პრინციპის დაცვა, რაც ეჭვქვეშ აყენებს ყველა საწარმოში, ყველა კვალიფიკაციის ფარგლებში პროფესიული მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგის იმ კონკრეტული თანმიმდევრობით სწავლებასა და შეფასებას, როგორც წინაპირობების დაცვით აგებული სასწავლო გეგმით არის განსაზღვრული.

კვალიფიკაციების შემუშავების პროცესთან დაკავშირებული გამოწვევები

საქართველოში პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის შემუშავების საფუძველს პროფესიის სტანდარტი წარმოადგენს. შესაბამისად, პროფესიის სტანდარტისა და პროფესიულ საგანმანათლებლო სტანდარტებს შორის მკაფიო ბმების არსებობა კვალიფიკაციის მოთხოვნებში სამუშაო ბაზრის საჭიროებების ასახვის უმნიშვნელოვანესი წინაპირობაა.

პროფესიისა და პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტების შემუშავების მიმართულებით არსებული გამოწვევები ექვს ძირითად კატეგორიად შეიძლება გავაერთიანოთ: (1) პროფესიისა და პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტების ურთიერთკავშირისა და ურთიერთშესაბამისობის გაზრდა; (2) პროფესიის სტანდარტით განსაზღვრული მოვალეობებისა და ამოცანების მნიშვნელობის და წონის ერთგვაროვნების უზრუნველყოფა; (3) პროფესიის სტანდარტში საკვანძო კომპეტენციებისა და სხვა მნიშვნელოვანი ველების დამატება; (4) პროფესიისა და პროფესიულ საგანმანათლებლო სტანდარტებზე მუშაობის პროცესების დაკავშირება; (5) პროფესიის სტანდარტის გადახედვის პროცედურების ამოქმედება, დარგობრივი ხედვის ინტეგრირება პროფესიის და პროფესიულ საგანმანათლებლო სტანდარტებზე მუშაობის პროცესში; (6) პროფესიის სტანდარტზე მუშაობის პროცესის გამჭვირვალობის უზრუნველყოფა, პროცესში პროფესიული საზოგადოების მონაწილეობის ხარისხის შემდგომი გაუმჯობესება;

1. პროფესიისა და პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტების ურთიერთკავშირისა და ურთიერთშესაბამისობის გაზრდა;

არსებითად მნიშვნელოვანია, რომ არსებობდეს მჭიდრო კავშირი პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის სწავლის შედეგებსა და შრომის ბაზრის მოთხოვნებს შორის. თუმცა, აღნიშნული კავშირის დანახვა/შემოწმება ხშირად ვერ ხერხდება. რთული დასადგენია პროფესიის სტანდარტის მოვალეობა/ამოცანა პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის რომელ სწავლის შედეგს უკავშირდება და, ზოგადად, სრულად ფარავს თუ არა პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის სწავლის შედეგები პროფესიის სტანდარტით განსაზღვრულ მოთხოვნებს;

ამ მოცემულობას განაპირობებს ის, რომ შინაარსობრივად, სტრუქტურულად და ტერმინების დონეზეც, არ არის მკაფიო პროფესიის სტანდარტსა და პროფესიულ საგანმანათლებლო სტანდარტს შორის კვეთა. კერძოდ:

- პროფესიული მოვალეობები და ამოცანები გაფანტულია პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის ძირითად დოკუმენტსა და მოდულებში (მოდულის დასახელება, მოდულის სწავლის შედეგები, შეფასების კრიტერიუმები) და გაურკვეველია მათი ზუსტი ადგილი პროფესიულ საგანმანათლებლო სტანდარტში;
- პროფესიის სტანდარტში თითოეული მოვალეობისთვის ფორმულირებულია საჭირო ცოდნა და უნარები, მაშინ როდესაც ეს ტერმინები საერთოდ არ გვხვდება პროფესიულ საგანმანათლებლო სტანდარტში, ხოლო ამ ველების შესაბამისი ჩანაწერები გაფანტულია ან არათანმიმდევრულად არის ასახული მოდულების თემატიკასა და შეფასების კრიტერიუმებში.

2. პროფესიის სტანდარტით განსაზღვრული მოვალეობებისა და ამოცანების მნიშვნელობის და წონის ერთგვაროვნების უზრუნველყოფა

პროფესიის სტანდარტში მოვალეობების გასწვრივ არათანაბარი სიღრმით არის გაშლილი ამოცანები. ზოგიერთ პროფესიის სტანდარტში ისინი ძალიან მარტივია, ზოგიერთში კი იმდენად რთული, რომ დამატებით დაშლას საჭიროებს. ეს ხარვეზი, შემდგომში იწვევს ანალოგიური ტიპის პრობლემებს პროფესიულ საგანმანათლებლო სტანდარტში, სადაც არათანაბარი სიღრმით და დეტალიზაციით არის წარმოდგენილი მოდულები.

3. პროფესიის სტანდარტში საკვანძო კომპეტენციების და სხვა მნიშვნელოვანი ველების დამატება

პროფესიის სტანდარტის შემუშავებისას გათვალისწინებული უნდა იქნას ევროპარლამენტისა და ევროპული საბჭოს რეკომენდაცია, მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლისათვის საჭირო რვა საკვანძო კომპეტენციის შესახებ, რამაც ხელი უნდა შეუწყოს პირის პროფესიულ განვითარებას და სამოქალაქო საზოგადოებაში ინტეგრაციას. თუმცა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით პროფესიის სტანდარტში ჩანაწერი არ არსებობს (სტრუქტურა არ მოიცავს

შესაბამის ველს) და ვერ დგინდება, რამდენად მნიშვნელოვანია პროფესიისთვის რვა საკვანძო კომპეტენცია.

ასევე, პროფესიის სტანდარტში დღეისათვის არ არსებობს ისეთი საჭირო ველები, რომლებიც მნიშვნელოვანია პროფესიული ორიენტაციისთვის. ამ ველებს განეკუთვნება, მაგალითად: პროფესიული შესაძლებლობები (abilities) და პროფესიული კონტექსტი.

4. პროფესიისა და პროფესიულ საგანმანათლებლო სტანდარტებზე მუშაობის პროცესების დაკავშირება

პროფესიის სტანდარტზე მუშაობა პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტისგან იზოლირებულად მიმდინარეობს. შედეგად, პროფესიულ საგანმანათლებლო სტანდარტზე მუშაობისას პროფესიის სტანდარტში მოცემული ჩანაწერების შესწორების ან გადახედვის შესაძლებლობა აღარ არსებობს, რაც შემდგომში ართულებს პროფესიისა და პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტების თავსებადობის უზრუნველყოფას და პროფესიის სტანდარტში მოცემული კონკრეტული ამოცანების „გადათარგმნას“ სწავლის შედეგებად.

თავის მხრივ, პროფესიულ საზოგადოებას ნაკლებად აქვს შესაძლებლობა, უფრო აქტიურად ჩაერთოს პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის შემუშავებაში და გამოთქვას მოსაზრებები იმასთან დაკავშირებით, თუ რამდენად სრულად არის გათვალისწინებული პროფესიული მოთხოვნები პროფესიულ საგანმანათლებლო სტანდარტებში.

5. პროფესიის სტანდარტის გადახედვის პროცედურების ამოქმედება, დარგობრივი ხედვის ინტეგრირება პროფესიის და პროფესიულ საგანმანათლებლო სტანდარტებზე მუშაობის პროცესში

სტანდარტების შემუშავება ცალკეული დარგის ფარგლებში არ მიმდინარეობს კოორდინირებულად, რაც იწვევს შეუსაბამობებს მოვალეობებისა და ამოცანების დეტალიზაციის ხარისხში, ისევე როგორც დარგისათვის საერთო მოვალეობებისა და ამოცანების ჩამოყალიბების მიმართულებით. ასევე დარგის ფარგლებში, სისტემურად არ ხდება ძირითადი მიმართულებებისა და კომპეტენციების მსხვილი, საერთო ჯგუფების განსაზღვრა. ეს გარემოება, თავის მხრივ, ართულებს პროფესიული კვალიფიკაციების ფორმირების პროცესს, საერთო პროფესიული მოდულების იდენტიფიციკაციასა და თანმიმდევრულად ასახვას დარგის ფარგლებში სხვადასხვა პროფესიის სტანდარტთან მიმართებაში.

6. პროფესიის სტანდარტზე მუშაობის პროცესის გამჭვირვალობის უზრუნველყოფა, პროცესში პროფესიული საზოგადოების მონაწილეობის ხარისხის შემდგომი გაუმჯობესება

პროფესიული საზოგადოების წარმომადგენელთა ჩართულობის უზრუნველყოფისათვის დღეისათვის ეფექტურად არ გამოიყენება რაოდენობრივი მეთოდები - მაგალითად, გამოკითხვა, რაც ხელს შეუწყობდა პროფესიული საზოგადოების უფრო ფართო ჯგუფების

ჩართვას პროფესიის სტანდარტის შემუშავების პროცესში და შედეგების რეპრეზენტატულობის გაზრდას.

3. კვალიფიკაციების შემუშავებისა და გადამუშავების მეთოდოლოგიის ძირითადი მიდგომები

3.1. ცვლილებების სამი მიმართულება

კვალიფიკაციების შემუშავებისა და გადამუშავების მეთოდოლოგიით შეთავაზებული ძირითადი მიდგომები ეხმიანება წინა თავში აღწერილ გამოწვევებს და, პირობითად, სამ მიმართულებად შეიძლება გაერთიანდეს. ცხრილი 1 ასახავს საქართველოში პროფესიული კვალიფიკაციების შემუშავების/გადახედვის კუთხით არსებული გამოწვევებისა და ახალი მოდელით შეთავაზებული ინტერვენციების ურთიერთმიმართებას.

ინტერვენციების პირველი მიმართულება კვალიფიკაციების ფორმირების ზოგადი პრინციპების დაზუსტებას გულისხმობს, მეორე მიმართულება - სტანდარტების შინაარსისა და სტრუქტურის სრულყოფას, ხოლო მესამე მიმართულება - სტანდარტებზე მუშაობის პროცესის გაუმჯობესებას. კერძოდ:

1. კვალიფიკაციების ფორმირების ზოგადი პრინციპების დაზუსტების მიმართულებით ახალი მეთოდოლოგია მოიაზრებს:
   - დარგობრივი რუკების შემუშავებასა და გამოყენებას კვალიფიკაციებზე მუშაობის პროცესში;
   - კვალიფიკაციების დონის განსაზღვრის ახალი ინსტრუმენტის გამოყენებას;
2. სტანდარტების შინაარსისა და სტრუქტურის სრულყოფის მიმართულებით მეთოდოლოგიით გათვალისწინებულია:
   - კვალიფიკაციის სტრუქტურის შემადგენელი ველების (ჩანაწერების) ფორმირების წესების დაზუსტება;
   - კვალიფიკაციის სტრუქტურის შემადგენელი ველების (ჩანაწერების) პროფესიის სტანდარტიდან პროფესიულ საგანმანათლებლო სტანდარტში გადატანის პრინციპებისა და პროცედურების დაზუსტება.
   - პროფესიისა და პროფესიულ საგანმანათლებლო სტანდარტებში ახალი ველების დამატება პროფესიული ორიენტაციის ხელშეწყობისთვის და კვალიფიკაციისთვის მნიშვნელოვანი სხვა ინფორმაციის უკეთ ასახვისთვის;
   - სწავლის შედეგების წარმოდგენის ახალი ფორმატის შემოღება;
3. სტანდარტებზე მუშაობის პროცესის გაუმჯობესების მიმართულებით მეთოდოლოგია გულისხმობს:

- პროფესიისა და პროფესიულ საგანმანათლებლო სტანდარტებზე მუშაობის პროცესების მეტად დაკავშირებას;
- პროფესიისა და პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტების ფორმირების პროცესში სტანდარტიზაციისა და ვალიდაციის ეტაპების შემოტანას;
- პროფესიისა და პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტების შემუშავების პროცესში პროფესიული საზოგადოების ჩართულობის კიდევ უფრო გაზრდას ე.წ. დარგობრივი პანელების გამოკითხვის გზით (ალტერნატიულ ვერსიად მოიაზრება დარგობრივი ფოკუს ჯგუფები);
- საჯარო განხილვის ეტაპის დამატებას პროფესიის სტანდარტის შემუშავების პროცესში;
- ე.წ. დინამიური ველების შემოღებას პროფესიისა და პროფესიულ საგანმანათლებლო სტანდარტში;

ცხრილი 1. კვალიფიკაციების შემუშავების/გადახედვის კუთხით არსებული გამოწვევებისა და ახალი მოდელით შეთავაზებული ინტერვენციების ურთიერთმიმართება.

		კვალიფიკაციების შემუშავების/გადამუშავების პროცესის გაუმჯობესების ძირითადი მიდგომები ახალ მოდელში										
		ფორმირების ზოგადი პრინციპები		სტანდარტების შინაარსი და სტრუქტურა						სტანდარტების შემუშავების პროცესი		
		დარგობრივ რეკ	კვალიფიკაციების დონეების განსაზღრის მეთოდოლოგია (WRL - UNESCO)	პროფესიისა და საგანმანათლებლო სტანდარტის ველების დაკავშირება	ტაქსონომია პროფესიული ამოცანების ფორმულირებისთვის (O*NET)	ტაქსონომია სწავლის შედეგების ფორმულირებისთვის (Global Skills Taxonomy)	ახალი ველების დამატება პროფესიის სტანდარტში (O*NET)	სწავლის შედეგების წარმოდგენა ახალი ფორმატი	პარალელური კურიკულუმი სწავლების ორი ფორმატისთვის	პროფესიისა და საგანმანათლებლო სტანდარტებზე მუშაობის პროცესების გაერთიანებული პროცედურა	დარგობრივი პანელები/ გამოკითხვა	დინამიური ველის ცნება საგანმანათლებლო სტანდარტში
კვალიფიკაციის სტრუქტურასთან დაკავშირებული გამოწვევები	პროფესიისა და პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტების ურთიერთკავშირისა და ურთიერთშესაბამისობის გაზრდა											
	პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის ველების შინაარსის დაზუსტება											
	პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის მოდულების და სწავლის შედეგების მნიშვნელობის და წონის ერთგვაროვნების უზრუნველყოფა;											
	პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტში 8 საკვანძო კომპეტენციის უკეთ ასახვა;											
	სტანდარტების უკეთ მორგება სამუშაო ადგილზე სწავლის კონტექსტზე.											
კვალიფიკაციების შემუშავების პროცესთან დაკავშირებული გამოწვევები	პროფესიისა და პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტების ურთიერთკავშირისა და ურთიერთშესაბამისობის გაზრდა;											
	პროფესიის სტანდარტით განსაზღვრული მოვალეობებისა და ამოცანების მნიშვნელობის და წონის ერთგვაროვნების უზრუნველყოფა;											
	პროფესიის სტანდარტში საკვანძო კომპეტენციებისა და სხვა მნიშვნელოვანი ველების დამატება;											
	პროფესიისა და პროფესიულ საგანმანათლებლო სტანდარტებზე მუშაობის პროცესების დაკავშირება;											
	პროფესიის სტანდარტის გადახედვის პროცედურების ამოქმედება, დარგობრივი ხედვის ინტეგრირება პროფესიის და პროფესიულ საგანმანათლებლო სტანდარტებზე მუშაობის პროცესში;											
	პროფესიის სტანდარტზე მუშაობის პროცესის გამჭვირვალობის უზრუნველყოფა, პროცესში პროფესიული საზოგადოების მონაწილეობის ხარისხის შემდგომი გაუმჯობესება;											

3.2. კვალიფიკაციის ფორმირების ზოგადი პრინციპები - დარგობრივი რუკა

კვალიფიკაციების სტრუქტურის განსაზღვრის ერთგვაროვანი პრაქტიკის დანერგვისთვის მნიშვნელოვანია, რომ კვალიფიკაციები ფართო დარგობრივი ხედვის არსებობის პირობებში დაიგეგმოს. ამ მიზნით, ახალი მეთოდოლოგიით გათვალისწინებულია ე.წ. „დარგობრივი რუკის“ შემუშავება და მისი შემდგომი გამოყენება კვალიფიკაციების შემუშავებისა და გადახედვის პროცესებში. დარგობრივი რუკა წარმოადგენს კვალიფიკაციების ფორმირების/გადახედვის პროცესის საკონსულტაციო დოკუმენტს, რომელიც კვალიფიკაციების სტრუქტურისა და შესაბამისი კომპეტენციების ერთიანად, დარგის ფარგლებში გააზრების შესაძლებლობას ქმნის.

დარგობრივი რუკა უზრუნველყოფს:

- დარგის ფარგლებში სხვადასხვა პროფესიისათვის საერთო კომპეტენციების იდენტიფიცირებას, რომლებიც შემდგომში ერთგვაროვნად და თანმიმდევრულად აისახება სტანდარტებში;
- დარგის ფარგლებში მიმართულებებისა და ქვემიმართულებების დაზუსტებას, რაც შემდგომში გაადვილებს კვალიფიკაციების ფორმირების პრინციპების ჩამოყალიბებას;
- დარგის ფარგლებში კვალიფიკაციების ჩარჩოს ყველა დონეზე (მათ შორის უმაღლესი განათლების) არსებული კვალიფიკაციების ერთიანობაში დანახვას, რაც გაამარტივებს დარგში ახალი კვალიფიკაციების ფორმირების საჭიროების იდენტიფიცირებას;
- დარგის ფარგლებში პროფესიული მომზადება-გადამზადების პროგრამების სწავლის შედეგების ანალიზს, რათა ეს სწავლის შედეგები შეძლებისდაგვარად აისახონ ტიპური კვალიფიკაციების შესაქმნელად საჭირო სტანდარტებში;
- დარგის ფარგლებში არსებული პროფესიის სტანდარტების ერთიანობაში დანახვას, რაც ხელს შეუწყობს ახალი პროფესიის სტანდარტების ფორმირების (გამსხვილების/დაშლის) ზოგადი პრინციპების ჩამოყალიბებას;
- მომიჯნავე დარგებთან საერთო ინტერდისციპლინური პროგრამების შემუშავებას;

დარგობრივი რუკა, თავისმხრივ, ეფუძნება სწავლის სფეროების კლასიფიკატორს. კერძოდ, მასში ჩამოთვლილია დარგისთვის შესაბამისი „ძირითადი და დამხმარე სწავლის სფეროები“ (ფართო, ვიწრო და დეტალური სფეროების მითითებით). „ძირითად სწავლის სფეროს“ წარმოადგენს ის სფერო, რომელსაც უკავშირდება დარგში არსებული ძირითადი კომპეტენციების უმეტესობა, ხოლო „დამხმარე სწავლის სფეროს" მიეკუთვნება ის სფეროები, რომლებთანაც მოცემულ დარგს აქვს საერთო კომპეტენციები. მაგალითად, სოფლის მეურნეობის დარგში ძირითად სწავლის სფეროს წარმოადგენს „სოფლის მეურნეობა, მეტყევეობა, მეთევზეობა, ვეტერინარია“, ხოლო ერთ-ერთ დამხმარე სფეროს - ინჟინერიის ვიწრო სფერო „წარმოება და გადამუშავება“.

დარგობრივ რუკაზე თითოეული დეტალური სფეროსთვის (მაგალითად, მემცენარეობა და მეცხოველეობა) ზუსტდება შემდეგი ინფორმაცია:

- პროფესიული კომპეტენციების ძირითადი არეები - კომპეტენციების მსხვილი კატეგორიები, რომლებიც საერთოა დეტალურ სფეროში შემავალი პროფესიებისთვის (მაგალითად, მემცენარეობასა და მეცხოველეობაში: მცენარეების და ცხოველების მოვლა, ფერმერული მეურნეობის მართვა, პირველადი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტის წარმოება, პროფესიული ეთიკის დაცვა, გარემოსდაცვითი ცნობიერება, მეწარმეობა);
- პროფესიული კომპეტენციების დამატებითი არეები - კომპეტენციების შედარებით წვრილი კატეგორიები, რომლებიც საერთოა დეტალურ სფეროში შემავალი პროფესიების ნაწილისთვის.
- პროფესიული საქმიანობის ძირითადი მიმართულებები და ქვემიმართულებები - სწავლის სფეროების კლასიფიკატორის დეტალურ სფეროში შემავალი მიმართულებები ზუსტდება პროფესიული საქმიანობის ძირითად მიმართულებებში. ზოგიერთ შემთხვევაში მიმართულებები შესაძლოა დაზუსტდეს ქვემიმართულებებში;
- რუკა, ასევე, მოიცავს ყველა იმ კვალიფიკაციის, პროფესიის სტანდარტის, პროფესიული მომზადება-გადამზადების პროგრამების ჩამონათვალს, რომელიც არსებობს დარგში.

დარგობრივი რუკის ნიმუში მოცემულია დანართში 1.

3.3. სტანდარტების შინაარსი და სტრუქტურა

პროფესიის სტანდარტის მოთხოვნების პროფესიულ საგანმანათლებლო სტანდარტში სრულად ასახვისთვის მნიშვნელოვანია, რომ ორივე სტანდარტის ველები მკაფიოდ უკავშირდებოდეს ერთმანეთს და გასაგები იყოს პრინციპი, თუ როგორ გადადის ინფორმაცია პროფესიის სტანდარტიდან პროფესიულ საგანმანათლებლო სტანდარტში. ასევე, მნიშვნელოვანია, რომ პროფესიისა და პროფესიულ საგანმანათლებლო სტანდარტში დამატებული იქნას ისეთი ველები, რომლებიც უზრუნველყოფს კვალიფიკაციის ფორმირებისათვის საჭირო მრავალმხრივი ინფორმაციის შეგროვებას.

ამ მიზნით ორივე სტანდარტის განახლებული ფორმები მოიაზრებს შემდეგ მნიშვნელოვან ცვლილებებს:

- ორივე სტანდარტში ჩანს ფუნქციურად მსგავსი ველების ურთიერთკავშირი (მოდული საგანმანათლებლო სტანდარტში შეესაბამება პროფესიულ მოვალეობას პროფესიის სტანდარტში, პროფესიული უნარი საგანმანათლებლო სტანდარტში - პროფესიულ ამოცანას პროფესიის სტანდარტში);
- ორივე სტანდარტში მსგავსი პრინციპით არის წარმოდგენილი კომპეტენციების აღმწერი ინფორმაცია - ცოდნა, უნარები, ავტონომიურობა და პასუხისმგებლობა, შესაძლებლობები;

- პროფესიის სტანდარტში დამატებულია ველები: სამუშაო სტილი, სამუშაო ღირებულებები, სამუშაო ინტერესები და სამუშაო კონტექსტი. ეს ველები მნიშვნელოვანია პროფესიული ორიენტაციის მიზნებისთვის.

სტანდარტების შინაარსთან დაკავშირებულ კიდევ ერთ გამოწვევას წარმოადგენს ველების ჩანაწერების თანაბარი სიღრმისა და დეტალიზაციის უზრუნველყოფა. ამ გამოწვევის დასაძლევად ახალი მეთოდოლოგია გულისხმობს სტანდარტების ველების ფორმირებისთვის მსოფლიოში აღიარებული ტაქსონომიების გამოყენებას. კერძოდ:

- კომპეტენციების (სწავლის შედეგების) ფორმულირებისთვის გამოიყენება ე.წ. „მსოფლიო უნარების ტაქსონომია " (Global Skills Taxonomy) [10].
- პროფესიის სტანდარტის ველების (სამუშაო კონტექსტი, სტილი, ინტერესები, სამუშაო ღირებულებები) ფორმულირებისთვის გამოიყენება პროფესიების საინფორმაციო ქსელის O*NET (The occupational information network) ტაქსონომია[11].

ჩანართი 1 წარმოადგენს პროფესიის სტანდარტის, პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის და მოდულის ნიმუშებს (დოკუმენტების სტრუქტურისა და ლოგიკის შემუშავებისას გამოყენებულია ფინეთის, ესტონეთისა და ინგლისის მაგალითები).

---

[10] მსოფლიო უნარების ტაქსონომია (Global Skills Taxonomy) წარმოადგენს მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის მიერ შემუშავებულ ინსტრუმენტს, რომლის მიზანია საერთო ენის ფორმირების გზით, ხელი შეუწყოს პროფესიულ და საგანმანათლებლო საზოგადოებას შორის კომუნიკაციის გაძლიერებასა და სამუშაო ბაზარზე მოთხოვნისა და მიწოდების დაკავშირებას.

[11] პროფესიების საინფორმაციო ქსელი O*NET წარმოადგენს პროფესიასთან დაკავშირებული ინფორმაციის ორგანიზების კონცეპტუალურ და თეორიულ ჩარჩოს ამერიკის შეერთებულ შტატებში. იგი მსოფლიოში პროფესიების აღწერის ერთ-ერთ საუკეთესო მოდელად ითვლება.

ჩანართი 1

პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტი (ნიმუში)

1. **პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის სახელწოდება (ქართულ და ინგლისურ ენებზე)**
2. **მისანიჭებელი კვალიფიკაცია (ქართულ და ინგლისურ ენებზე)**
3. **სარეგისტრაციო ნომერი**
4. **კვალიფიკაციის დონე**

   4.1 კვალიფიკაციების ევროპული ჩარჩო (EQF)

   4.2 კვალიფიკაციების ეროვნული ჩარჩო (NQF)
5. **კლასიფიკაციის აღწერა**

   5.1 ISCED კოდი და აღწერა

   5.2 ISCO კოდი და აღწერა

   5.3 ეკონომიკური საქმიანობის სახეების ეროვნული კლასიფიკატორის კოდი
6. **დაშვების წინაპირობა**

   6.1 ფორმალური განათლება

   6.2 სხვა მოთხოვნები
7. **დასაქმების სფერო და შესაძლებლობები:**
8. **სწავლის შედეგები:**

   8.1
   8.2
   8.3

9. სწავლის შედეგების დეტალური აღწერა

			საკვანძო კომპეტენციები							
მოდული	**პროფ. უნარები**	**პროფ. ცოდნა**	**სწავლა**	**ინიციატივა**	**ეფექტიანი ურთიერთობა**	**ეფექტიანი**	**ინფორმაციის მოძიება**	**ეფექტიანი**	**კომუნიკაცია**
1. არქივების მართვა	1.1. ახორციელებს საქმეთა ფორმირებას (დოკუმენტების საქმეში განლაგებას გარკვეული პრინციპების დაცვით	იცის დოკუმენტების შენახვის ვადის და პირობების განსაზღვრის წესი	•		•	•				
	1.2. ამზადებს დოკუმენტებს ორგანიზაციის არქივში გადასაცემად									
2. ღონისძიებების ორგანიზება	2.1. გეგმავს და აორგანიზებს სხვადასხვა ტიპის ღონისძიებებს (სამუშაო შეხვედრა, სადილი)	იცის პროტოკოლი	•	•	•	•		•	•	•
	2.2. გეგმავს და აორგანიზებს მივლინებებს		•	•		•		•	•	
3. ოფისის მომსახურება	3.1. უზრუნველყოფს საოფისე გარეშო მოვლას	იცის ერგონომიკის პრინციპები						•		
	3.2. კოორდინაციას უწევს პერსონალის მუშაობას							•	•	
X. სამუშაო გარემოში ოპერირება, სამუშაო ეთიკა	იცავს შრომის უსაფრთხოების ნორმებს	იცის უსაფრთხოების ნორმები				•		•	•	
	იცავს კორპორატიული ეთიკის, ეტიკეტის ნორმებს	იცის ორგანიზაციული კულტურის და ნორმების დეფინიცია						•	•	
	მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისად	იცნობს შრომის კოდექსს						•	•	

10. მნიშვნელოვანი ზოგადი უნარები, დამოკიდებულებები და შესაძლებლობები

10.1 ზოგადი უნარები	შემოქმედებითი აზროვნება
	სისტემური აზროვნება
	ინგლისური
10.2 დამოკიდებულებები	სხვების სწავლება
	უკუკავშირის მიღება
	ინსტრუქციების დაცვა
	თანამშრომელთა მხარდაჭერა
	ემპათია
	დარწმუნება და მოლაპარაკება
	დამოუკიდებლად მუშაობა
	დროის მართვა და პრიორიტეტიზაცია
	ხარისხის მართვა
	სტრესის მართვა
	სოციო-კულტურული ცნობიერება
10.3 შესაძლებლობები	დეტალებისადმი ყურადღება
	მეხსიერება
	წაკითხულის გააზრება, მოსმენილის გააზრება

11. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის რეკომენდირებული სტრუქტურა

სულ კრედიტების რაოდენობა: 120
ზოგადი მოდულები xx
პროფესიული მოდულები xx

სასწავლო გარემოში სწავლისთვის	**კრედიტი**	**სტატუსი**	**სამუშაო გარემოში სწავლისთვის**	**დისტანციური სწავლების შესაძლებლობები**
პროფესიული მოდულები	**X**			
არქივების მართვა	x	სავ	არქივების მართვა	დისტანციური
ღონისძიებების მართვა	x	სავ	ღონისძიებების მართვა	
ოფისის მომსახურება	x	სავ	ოფისის მომსახურება	შერეული
სამუშაო გარემოში ოპერირება	x	სავ	სამუშაო გარემოში ოპერირება	
საპროტოკოლო მომსახურება	x	არჩ		
ადამიანური რესურსების მართვა	x	არჩ		დისტანციური
ზოგადი მოდულები	**X**			
მეწარმეობა	x	სავ	მეწარმეობა	
უცხოური ენა	x	სავ	უცხოური ენა	დისტანციური
სულ კრედიტები				

12. დამატებითი ინფორმაცია

12.1 პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის შემუშავების სამართლებრივი საფუძვლები

12.2 პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის ვერსია № და თარიღი

12.3 პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის გადახედვის ვადები

მოდული (ნიმუში)

მოდული -------

ზოგადი ინფორმაცია

სარეგისტრაციო ნომერი

ვერსია № და თარიღი

მოცულობა კრედიტებში

სტანდარტული ჩანაწერები:

სწავლის შედეგები	**შესრულების კრიტერიუმები**	**კომპეტენციის პარამეტრების ფარგლები**	**შეფასების მიმართულება**
პროფ. უნარები			
უზრუნველყოფს ოფისის მოვლას	შეუძლია თანამშრ-თა საჭიროების იდენტიფიცირება (შემთხვევის/დავალების შესაბამისად) შეუძლია სამუშაო სივრცის დაგეგმვა (შემთხვევის დავალების შესაბამისად), ერგონომიკის პრინციპების გათავალისწინებით		პროდუქტის/შედეგის შეფასება პროცესზე დაკვირვება
კოორდინაციას უწევს თანამშრომლების მუშაობას	შეუძლია სამუშაო ამოცანების განრიგის შედგენა შეუძლია სამუშაო შეხვედრის ფასილიტაცია		
პროფ. ცოდნა			
იცნობს ერგონომიკის პრინციპებს		ერგონომიკის 10 პრინციპი	ზეპირი ან წერითი გამოკითხვა (შესაძლოა ინტეგრირება პროფ. უნარების შეფასებასთან)
იცნობს ერგონომიკის ძირითად პრინციპებს		ერგონომიული გადაწყვეტების მიზნები	
იცნობს ფასილიტაციის წესებს		მოდერატორის როლი, აქტიური მოსმენის პრინციპები	

დამხმარე ჩანაწერები:

სწავლის შედეგები	**სწავლების რეკომენდებული ფორმა**	**შეფასების რეკომენდებული მეთოდები**	**რეკომენდებული მტკიცებულება პორტფოლიოსთვის**
პროფ. უნარები უზრუნველყოფს ოფისის მოვლას კოორდინაციას უწევს თანამშრომლების მუშაობას	ინტერაქტიული ლექცია, შემთხვევის ანალიზი, სიტუაციური ამოცანა/სიმულაცია საწარმოო პრაქტიკა	შემთხვევის ანალიზი ერგონომიკის პრინციპების ცოდნის დასადგენად (ქეისი ღია და დახურული კითხვებით) სიტუაციური ამოცანა პროდუქტით (სივრცის დაგეგმვა) სიმულაცია (შეხვედრის ორგანიზება) სტრუქტურირებული დაკვირვების რუბრიკით	შემთხვევის ანალიზის, სიტუაციური ამოცანის, სიმულაციის შეფასება (ზღვრების მითითებით) პროდუქტი (სივრცის გეგმა)
პროფ. ცოდნა ერგონომიკის პრინციპები ფასილიტაციის პრინციპები			

პროფესიის სტანდარტის ნიმუში

1. **პროფესიის დასახელება (ქართულ და ინგლისურ ენაზე)**
2. **პროფესიის სტანდარტის სარეგისტრაციო ნომერი**
3. **პროფესიის შესაბამისი კოდები**
   3.1 ISCO კოდი და აღწერა
   3.2 ეკონომიკური საქმიანობის სახეების ეროვნული კლასიფიკატორის კოდი
4. **დასაქმების სფერო და შესაძლებლობები:**
5. **აუცილებელი პროფესიული მოთხოვნები:**
6. **პროფესიის აღწერა:**

7. **პროფესიული მოვალეობები, ამოცანები, ცოდნა და საკვანძო კომპეტენციები:**

მოვალეობა	ამოცანა	ცოდნა	ინგლისური	უცხო ენა	ინფორმაციული	მათემატიკა	სოციალური	მენეჯმენტი	კომუნიკაცია
1. არქივების მართვა	1.1. ახორციელებს საქმეთა ფორმირებას (დოკუმენტების საქმეში განლაგებას გარკვეული პრინციპების დაცვით	იცის დოკუმენტების შენახვის ვადის და პირობების განსაზღვრის წესი	•		•	•				
	1.2. ამზადებს დოკუმენტებს ორგანიზაციის არქივში გადასაცემად									
2. ღონისძიებების ორგანიზება	2.1. გეგმავს და აორგანიზებს სხვადასხვა ტიპის ღონისძიებებს (სამუშაო შეხვედრა, სადილი)	იცის პროტოკოლი	•	•	•	•		•	•	•
	2.2. გეგმავს და აორგანიზებს მივლინებებს		•	•		•		•	•	
3. ოფისის მომსახურება	3.1. უზურნველყოფს საოფისე გარემო მოვლას	იცის ერგონომიკის პრინციპები						•		
	3.2. კოორდინაციას უწევს პერსონალის მუშაობას							•	•	
X. სამუშაო გარემოში ოპერირება, სამუშაო ეთიკა	იცავს შრომის უსაფრთხოების ნორმებს	იცის უსაფრთხოების ნორმები				•		•	•	
	იცავს კორპორატიული ეთიკის, ეტიკეტის ნორმებს	იცის ორგანიზაციული კულტურის და ნორმების დეფინიცია						•	•	
	მოქმედებს კანონმ. შესაბამისად	იცინობს შრომის კოდექსს						•	•	
XX. ციფრული კომპ.			•							
XX. უცხო ენა				•						

8. პროფესიისთვის მნიშვნელოვანი ზოგადი უნარები, დამოკიდებულებები და შესაძლებლობები

8.1ზოგადი უნარები	შემოქმ. აზროვნება
	სისტემური აზროვნება
	საოფისე პროგრამები
	ინგლისური
8.2დამოკიდებულებები	სხვების სწავლება
	უკუკავშირის მიღება
	ინსტრუქციების დაცვა
	თანამშრომელთა მხარდაჭერა
	ემპათია
	დარწმუნება და მოლაპარაკება
	დამოუკიდებლად მუშაობა
	დროის მართვა და პრიორიტეტიზაცია
	ხარისხის მართვა
	სტრესის მართვა
	სოციო-კულტურული ცნობიერება
8.3შესაძლებლობები	დეტალებისადმი ყურადღება
	მეხსიერება
	წაკითხულის გააზრება, მოსმენილის გააზრება
	მეტყველება

9. სამუშაო კონტექსტი

განზომილება			რეიტინგი
ინტერპერს. ურთიერთობები	კომუნიკაცია	საჯარო გამოსვლების სიხშირე	მაღალი
		ტელეფონით კომუნიკაციის სიხშირე	მაღალი
		ელ. ფოსტით კომუნიკაციის სიხშირე	მაღალი
		წერილები და მემოების შედგენის სიხშირე	მაღალი
		პირისპირ დისკუსია	მაღალი
		სხვებთან კომუნიკაცია	მაღალი
	როლური ურთიერთობები	თანამშრომლებთან ერთად მუშაობა	მაღალი
		გარე კლიენტებთან ურთიერთობა	მაღალი
		სხვების კოორდინაცია ან ლიდერობა	მაღალი
	სხვებზე პასუხისმგებლობა	სხვების უსაფრთხოებაზე პასუხისმგებლობა	სამუალო
		სხვების მედეგებზე პასუხისმგებლობა	სამუალო
	კონფლიქტური სიტუაციები	კონფლიქტური სიტუაციების სიხშირე	სამუალო
სამუშაოს სტრუქტურული მოთხოვნები	გადაწვეტილების/შედეგის კრიტიკულობა	გადაწყვეტილებების გავლენა სხვებზე (კრიტიკულობა)	სამუალო
		კრიტიკული გადაწყვეტილების მიღების სიხშირე	სამუალო
	სტრუქტურირების ხარისხი	ავტომატიზაციის ხარისხი	დაბალი
		ამოცანების შესრულების სიზუსტის მნიშვნელოვნება	სამუალო
		ამოცანების განმეორრებადობის ხარისხი	მაღალი
		სტრუქტურირებულობის ხარისხსი	სამუალო
	კონკურენცია	კონკურენციის ხარისხი	დაბალი
	ტემპი და დაგეგმვა	დროის წნეხი	სამუალო

10. სამუშაო სტილი
11. სამუშაო ღირებულებები
12. სამუშაო ინტერესები
13. მატერიალური რესურსი

13.1 ინვენტარი, აღჭურვილობა:

13.2 მასალა, ნედლეული:

14. პროფესიის სამომავლო ტენდენციები:

15. პროფესიის სტანდარტის ვერსია № და თარიღი

16. პროფესიის სტანდარტის გადახედვის ვადები

შეფასების წესი

ზოგადი დებულებები

ზოგადი ინფორმაცია შეფასების სტანდარტის მიზნის შესახებ;

მითითებები შესაფასებელი პირისა და შემფასებლისთვის;

სტანდარტული ჩანაწერები:

	შესრულებისს კრიტერიუმები	**კომპეტენციის პარამეტრების ფარგლები**	**შეფასების მიმართულება**	**მტკიცებულება პორტფოლიოსთვის**
პროფ. ამოცანა (პროფ. უნარები)				
უზრუნველყოფს ოფისის მოვლას	შეუძლია თანამშრ-თა საჭიროების იდენტიფიცირება (შემთხვევის/დავალების შესაბამისად) შეუძლია სამუშაო სივრცის დაგეგმვა (შემთხვევის დავალების შესაბამისად), ერგონომიკის პრინციპების გათავალისწინებით		პროდუქტის/შედეგის შეფასება პროცესზე დაკვირვება	პროდუქტის/შედეგის შეფასება პროცესზე დაკვირვება
კოორდინაციას უწევს თანამშრომლების მუშაობას	შეუძლია სამუშაო ამოცანების განრიგის შედგენა შეუძლია სამუშაო შეხვედრის ფასილიტაცია აქტიური მოსმენის პრინციპების გამოყენებით			
პროფ. ცოდნა				
იცნობს ერგონომიკის პრინციპებს		ერგონომიკის 10 პრინციპი	ზეპირი ან წერითი გამოკითხვა (შესაძლოა ინტეგრირება პროფ. უნარების შეფასებასთან)	ზეპირი ან წერითი გამოკითხვა (შესაძლოა ინტეგრირება პროფ. უნარების შეფასებასთან)
იცნობს ერგონომიკის ძირითად პრინციპებს		ერგონომიული გადაწყვეტების შედეგები		
იცნობს ფასილიტაციის წესებს		ფასილიტატორის როლი, აქტიური მოსმენის პრინციპები		

დამხმარე ჩანაწერები:

დანართები

3.4. კვალიფიკაციების ფორმირების პროცესი

კვალიფიკაციების შემუშავების/გადახედვის მეთოდოლოგია პროფესიის სტანდარტისა და პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის შექმნას ერთიან პროცესად მოიაზრებს.

ჩანართი 2 ასახავს პროფესიისა და პროფესიულ საგანმანათლებლო სტანდარტებზე მუშაობის ეტაპების გამარტივებულ სქემას.

როგორც სქემიდან ჩანს, კვალიფიკაციების შემუშავების საწყის ეტაპს დარგობრივი რუკის ანალიზი და მისი ცვლილების პროექტის შემუშავება წარმოადგენს. ამ ეტაპზე ხდება დარგსა და მომიჯნავე დარგებში არსებული პროფესიის სტანდარტების, კვალიფიკაციებისა და შესაბამისი კომპეტენციების ანალიზი, ამ ანალიზის საფუძველზე დარგისათვის საერთო კომპეტენციების გამოვლენა; დარგის მიმართულებებისა და ქვემიმართულებების დაზუსტება, ისევე როგორც კვალიფიკაციების/პროფესიის სტანდარტების ცვლილებების დაგეგმვა. ეს ეტაპი, ასევე გულისსხმობს კვალიფიკაციებისთვის შესაბამისი დონეებისა და სტრუქტურის შესახებ საწყის მსჯელობას.

პროცესის თანახმად, პროფესიის სტანდარტის ველების შემუშავება წინ უძღვის პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის შექმნას, თუმცა ახალი მეთოდოლოგიით, შესაძლებელია პროფესიის სტანდარტის ჩანაწერების პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის საჭიროებებიდან გამომდინარე გადახედვა და პროფესიის სტანდარტში შესაბამისი ცვლილებების შეტანა, ორივე სტანდარტის ჩანაწერების სინქრონიზაციისთვის. ამ პროცესს ახალი მეთოდოლოგიის თანახმად სტანდარტიზაცია ეწოდება.

სტანდარტებზე მუშაობისას პროფესიული საზოგადოების წარმომადგენლებისაგან შეგროვებული ინფორმაციის სანდოობის, ასევე ამ პროცესში პროფესიული საზოგადოების მონაწილეობის გაზრდისათვის, ახალი მეთოდოლოგიით, გათვალისწინებულია პროფესიული საზოგადოების წარმომადგენლების გამოკითხვის კომპონენტის ინტეგრირება პროფესიის და პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტების ველების ფორმირების პროცესში. ამ პროცესს ახალი მეთოდოლოგიის თანახმად ვალიდაცია ეწოდება.

ვალიდაციის ეტაპზე იქმნება ე.წ. დარგობრივი პანელები (პროფესიული საზოგადოების ფართო წარმომადგენლობითი ჯგუფები), რომლებიც გამოკითხვის გზით მონაწილეობას იღებენ შექმნილი სტანდარტების სამუშაო ვარიანტების გადამოწმებაში.

პროფესიული საზოგადოების წარმომადგენლებისაგან ინფორმაციის შესაგროვებლად გამოყენებული იქნება O*NET პროფესიების საინფორმაციო ქსელის მეთოდოლოგია, ინსტრუმენტები და ტექნიკური პროცედურები. გამოკითხვის სტანდარტიზებული ინსტრუმენტები და გამართული პროცესი, ისევე როგორც ონლაინ გამოკითხვის შესაძლებლობების გამოყენება სტანდარტების ფორმირებისათვის საჭირო ინფორმაციის სწრაფად შეგროვებისა და დამუშავების შესაძლებლობას შექმნის.

სტანდარტებზე მუშაობის პროცესის გამჭვირვალობის გაზრდისათვის კვალიფიკაციების ფორმირების ერთ-ერთ ეტაპად განსაზღვრულია ორივე სტანდარტის საჯარო განხილვა.

ამასთანავე, სტანდარტების განახლების პროცესის მოქნილობის გაზრდის მიზნით, ახალ მეთოდოლოგიაში შემოტანილია ე.წ. დინამიური ჩანაწერის ცნება. დინამიური ჩანაწერის ცნება გულისხმობს, რომ ზოგიერთი ველის (მაგ. მატერიალური რესურსი) ჩასწორება შესაძლებელი იქნება ორ წელიწადში ერთხელ, სადაც ყველა პროვაიდერს და დამსაქმებელს ექნება ინიციატივის წარმოდგენის უფლება.

მიუხედავად იმისა, რომ პროფესიის და პროფესიულ საგანმანათლებლო სტანდარტებზე მუშაობა ერთიანი პროცესია, პროცედურა, აგრეთვე, მოიაზრებს პროფესიის სტანდარტის პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტისგან დამოუკიდებლად შემუშავებას.

კვალიფიკაციების გეგმიური გადახედვა გათვალისწინებულია 5 წელიწადში ერთხელ. ახალი მეთოდოლოგიით კვალიფიკაციების გეგმიური გადახედვა მოიაზრებს კვალიფიკაციების შემუშავების ყველა ეტაპის გავლას. გეგმიურ გადახედვებს შორის პერიოდში კვალიფიკაციების განახლება მიმდინარეობს გამარტივებული პროცედურით, რომელიც არ გულისხმობს ვალიდაციის ეტაპს.

სტანდარტებზე მუშაობის დეტალური პროცედურა აღწერილია მეშვიდე თავში, სადაც განსაზღვრულია კვალიფიკაციებზე მუშაობის განსხვავებული მიდგომები: ა) კვალიფიკაციის შექმნა/განახლება/გაუქმების პროცესებისათვის; ბ) ინიცირების განსხვავებული პირობებისათვის; გ) იმ კონკრეტული შემთხვევებისათვის, როდესაც დარგში არსებობს ან არ არსებობს დარგობრივი უნარების ორგანიზაცია.

ჩანართი 2

საგანმანათლებლო სტანდარტის შემუშავება
პროფესიის სტანდარტის შემუშავება
დარგობრივი რუკის ანალიზი და ცვლილების პროექტის შემუშავება
პროფესიული მოვალეობების და ამოცანების ფორმირება,,
საჭირო ცოდნის, უნარების, დამოკიდებულებების შესაძლებლობების განსაზღრა
პროფესიის სტანდარტის სხვა ველების ფორმირება
ჩანაწერების სტანდარტიზაცია
ჩანაწერების ვალიდაცია
სწავლის შედეგების მატრიცის შექმნა
პროგრამის სტრუქტურის განსაზღვრა
მოდულების ფორმირება
შეფასების წესის ჩამოყალიბება
საჯარო განხილვა
დამტკიცება
დარგობრივი რუკის ცვლილება

4. კვალიფიკაციების შემუშავებაში/გადამუშავებაში ჩართული მხარეები

პროფესიის სტანდარტისა და პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის შექმნისა და განახლების პროცესში სხვადასხვა ფორმით მონაწილეობენ სხვადასხვა დაინტერესებული მხარეები:

- პროფესიული უნარების სააგენტო (შემდგომში სააგენტო);
- დარგობრივი უნარების ორგანიზაცია;
- დამსაქმებლები - სფეროს წარმომადგენლები;
- მეთოდოლოგიური მხარდაჭერის ექსპერტი;
- HR სპეციალისტები;
- ინიციატორი;
- პროვაიდერები;
- კურსდამთავრებულები.

დაინტერესებული მხარეები სხვადასხვა ეტაპზე შეიძლება გაერთიანდნენ შემდეგი ტიპის ფუნქციურ ჯგუფებში:

- **ინიციატორთა ჯგუფი** - პროფესიის სტანდარტის ან/და პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის შექმნის/განახლების/გაუქმების მსურველთა ჯგუფი - ნებისმიერი ფიზიკური, იურიდიული პირი ან სახელმწიფო ორგანო, რომელიც მიმართავს პროფესიული უნარების სააგენტოს შესაბამისი განაცხადით, თანდართული წარმოების საფუძვლით;
- **მეთოდოლოგიური მხარდაჭერის ჯგუფი** - ჯგუფი, რომელიც ტექნიკურ დახმარებას უწევს ინიციატორთა ჯგუფს ჩანაწერების სტანდარტიზაციასა და ვალიდაციაში; ამზადებს დარგობრივი რუკის თავდაპირველ ვერსიას;
- **დარგობრივი ფოკუს ჯგუფი** - პროფესიის სტანდარტის ვალიდაციისთვის შერჩეული ჯგუფი;
- **დარგობრივი პანელ**ი - პროფესიის სტანდარტის ვალიდაციისთვის შერჩეული წარმომადგენლობითი ჯგუფი.

პროფესიული უნარების სააგენტო განსაზღვრავს განაცხადის, პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის, მოდულისა და პროფესიის სტანდარტის ფორმებს, პასუხისმგებელია შექმნის/განახლების/გაუქმების პროცესების კოორდინაციაზე და უზრუნველყოფს დამტკიცებას/ცვლილების შეტანას/გაუქმებას.

სქემა 1 ასახავს კვალიფიკაციის შემუშავებაში ჩართულ ჯგუფებს და ამ ჯგუფებში სხვადასხვა დაინტერესებული მხარის ჩართვის შესაძლებლობებს.

სქემა 1

5. კვალიფიკაციის შემუშავების ეტაპები

კვალიფიკაციების შემუშავების/გადახედვის პროცესი შემდეგი ძირითადი ეტაპების თანმიმდევრობად შეიძლება წარმოვიდგინოთ: დარგობრივი რუკის ანალიზი (რუკის ცვლილების პროექტის შემუშავება), პროფესიის სტანდარტის პროექტის შემუშავება (სტანდარტიზაციისა და ვალიდაციის პროცესების ჩათვლით), მასზე დაფუძნებით პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის შემუშავება, პროექტების საჯარო განხილვა, დამტკიცება და ცვლილებების რუკაზე ასახვა.

თავისმხრივ, ეს ძირითადი ეტაპები რამდენიმე მნიშვნელოვან ქვეეტაპს მოიცავს. ეტაპებით და ქვეეტაპებით გათვალისწინებულ საქმიანობას, ძირითადად, ახორციელებს ინიციატორი ან ინიციატივის ფარგლებში შექმნილი სამუშაო ჯგუფი რომელსაც ტექნიკურ დახმარებას უწევს მეთოდოლოგიური მხარდაჭერის ჯგუფი.

სქემა 2 ასახავს კვალიფიკაციის შემუშავების/გადამუშავების ძირითად ეტაპებს და მეთოდოლოგიური მხარდაჭერის და ინიციატორთა სამუშაო ჯგუფების მიერ შესასრულებელ საქმიანობებს.

სქემა 2

	ინიციატორი ან ინიციატივის ფარგლებში შექმნილი სამუშაო ჯგუფი	*მეთოდოლოგიური მხარდაჭერის ჯგუფი*
პროფესიის სტანდარტის პროექტის შემუშავება	**დარგობრივი რუკის ფორმირება/ცვლილებების პროექტის შემუშავება**	
		კომპეტენციების რეესტრის შედგენა
		საერთაშორისო გამოცდილების ანალიზი
		დარგობრივი რუკის ველების წინასწარი შევსება
	დეტალური სფეროს ფარგლებში მიმართულებებისა და ქვემიმართულებების განსაზღვრა/გადახედვა	
	დეტალური სფეროს ფარგლებში კომეტენციების ძირითადი და დამატებითი არეების განსაზღრა (დეტალური სფეროს ფარგლებში საერთო კომპეტენციების გამოვლენა)	
	კვალიფიკაციის სავარაუდო დონის განსაზღვრა	
	პროფესიის სტანდარტის პირველადი ჩანაწერების ფორმირება	
	პროფესიული მოვალეობებისა და ამოცანების აღწერა	
	პროფესიული მოვალეობების შესრულებისათვის საჭირო ცოდნის, უნარებისა და შესაძლებლობების ფორმულირება	
	სამუშაო კონტექსტის, სტილის, ღირებულებების, ინტერესების ველების ფორმულირება პროფესიის სტანდარტში	
	პროფესიის სტანდარტის ჩანაწერების სტანდარტიზაცია	
	საწყისი ჩანაწერების სტანდარტიზაციისთვის გადაგზავნა	
		ჩანაწერების ფორმულირების წესთან მიმართებაში გადამოწმება
		ჩანაწერების საერთაშორისო ტაქსონომიებთან მიმართებაში გადამოწმება
	სტანდარტიზაციის შედეგების ინტეგრირება, სტანდარტიზებული ჩანაწერების ფორმირება	
	პროფესიის სტანდარტის ჩანაწერების ვალიდაცია	
	სტანადარტიზებული ჩანაწერების ვალიდაციისთვის გადაგზავნა	
		ვალიდაციის ინსტრუმენტების შემუშავება
		მერჩევის ფორმირება
		მონაცემების შეგროვება
		შედეგების ანალიზი
		შედეგების ანგარიშის მომზადება
		ჩანაწერების ცვლილების პროექტის შემუშავება
	პროფესიის სტანდარტის პროექტის შემუშავება	
	ვალიდაციის შედეგების ინტეგრირება , საბოლოო ჩანაწერების ფორმირება	
	პროფესიის სტანდარტის ტექნიკური ველების შევსება, დოკუმენტის სრული ვერსიის მომზადება	
პროფესიიული საგანმანათლებლო სტანდარტის პროექტის შემუშავება	**პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის პროექტის შემუშავება**	
	ინფორმაციის გადმოტანა პროფესიის სტანდარტიდან და სწავლის შედეგების მატრიცის სახით წარმოდგენა	
	მოდულების სტრუქტურის ფორმირება	
	მოდულების შინაარსის ფორმირება და შეფასების წესის ჩამოყალიბება	
	კვალიფიკაციის დონის დაზუსტება	
	საგანმანათლებლო სტანდარტის ტექნიკური ველების შევსება, დოკუმენტის სრული ვერსიის მომზადება	
	პროფესიისა და პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის პროექტების საჯარო განხილვა	
	პროფესიისა და პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის დამტკიცება	
	დარგობრივი რუკის ცვლილება	

5.1. დარგობრივი რუკის თავდაპირველი ვერსიის ფორმირება და ცვლილებების პროექტის შემუშავება

დარგობრივი რუკის თავდაპირველი ვერსიის შემუშავებისთვის საჭიროა მოხდეს საქართველოში, ისევე როგორც სხვა ქვეყნებში არსებული პროფესიული კვალიფიკაციების შინაარსობრივი ანალიზი, რაც გულისხმობს დარგში არსებულ პროფესიისა და პროფესიულ საგანმანათლებლო სტანდარტებში მითითებული ყველა კომპეტენციის ერთიანი ჩამონათვალის ფორმირებას - ამ კომპეტენციების ერთიანობაში გაანალიზებას და დარგში სხვადასხვა პროფესიისთვის საერთო და განსხვავებული კომპეტენციების იდენტიფიცირებას.

თავდაპირველი რუკების ფორმირების პროცესი წარიმართება პროფესიული უნარების სააგენტოს ფასილიტაციით, მეთოდოლოგიური მხარდაჭერის ჯგუფის ჩართულობით, საჭიროებისამებრ სფეროს წარმომადგენლის მოწვევით ან, არსებობის შემთხვევაში, დარგობრივი უნარების ორგანიზაციის ჩართულობით.

თავდაპირველი რუკების მომზადების პროცესი მოიცავს:

1. დარგში არსებული კომპეტენციების ერთიანი ჩამონათვალის ფორმირებას - დარგში არსებული პროფესიის სტანდარტით განსაზღვრული ყველა პროფესიული მოვალეობის, ამოცანის, პროფესიული ცოდნისა და უნარის მითითების გზით (იხ. კომპეტენციების რეესტრის ნიმუშის დანართი 7);
2. დარგში არსებული პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის მოდულით განსაზღვრული ზოგადი უნარების იდენტიფიცირებას (იხ. კომპეტენციების რეესტრის ნიმუშის დანართი 7);
3. დარგში სხვადასხვა პროფესიისთვის დარგობრივი და ზოგადი საერთო კომპეტენციების იდენტიფიცირებას და მათი გამსხვილების შედეგად, დარგობრივ რუკაზე პროფესიული კომპეტენციების ძირითადი არეების განსაზღვრას;
4. პროფესიული საქმიანობის ძირითადი მიმართულების ფარგლებში ქვემიმართულებებისთვის საერთო დარგობრივი კომპეტენციების იდენტიფიცირებას და მათი გამსხვილების შედეგად, დარგობრივ რუკაზე პროფესიული კომპეტენციების დამატებითი არეების განსაზღვრას;
5. სწავლის სფეროების კლასიფიკატორის დეტალური სფეროდან მიმართულებების დაზუსტება პროფესიის ძირითად მიმართულებებად, საჭიროების შემთხვევაში, მიმართულებების ქვემიმართულებების განსაზღვრას;
6. საერთაშორისო გამოცდილების გაზიარებას, რაც ნიშნავს არანაკლებ სამი ქვეყნის მაგალითზე დარგის ფარგლებში არსებული სტანდარტების მოძიებას, სტანდარტებში გაწერილი მოთხოვნების შესწავლასა და ანალიზს, რომელმაც უნდა გამოკვეთოს ინფორმაცია კვალიფიკაციების, მათი დონისა და შესაბამისი კომპეტენციების შესახებ; (იხ. საერთაშორისო გამოცდილების ანალიზის დანართი 8).

კვალიფიკაციების დონის ამსახველი ველის შევსება ხდება პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტში მითითებული კვალიფიკაციის/კვალიფიკაციების დონის შესაბამისად. ამასთან, სწავლის სფეროების კლასიფიკატორში განსაზღვრული უმაღლესი განათლების სწავლის სფეროები (კვალიფიკაციები) გადმოდის შესაბამის ველებში (დონე 6- 8). დარგობრივ რუკაზე პროფესიის სტანდარტის ველში დაიტანება კვალიფიკაციის შესაბამისი (პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის საფუძვლად არსებული) პროფესიის სტანდარტის დასახელება. დარგობრივი რუკის მომზადება-გადამზადების ველში აისახება ყველა იმ პროგრამის დასახელება, რომელსაც უფლების მოპოვების გზით ახორციელებს ნებისმიერი პროვაიდერი.

დარგობრივ რუკაზე მსჯელობის გაადვილებისთვის დარგის წარმომადგენლებს, სამუშაო ვერსიის სახით, წარედგინებათ პროფესიული უნარების სააგენტოს მიერ პროფესიული კვალიფიკაციების წინასწარი შინაარსობრივი ანალიზის შედეგები (ადგილობრივი და საერთაშორისო გამოცდილების ანალიზი) და ამ ანალიზის საფუძველზე შევსებული რუკის ნიმუში, ისევე როგორც კომპეტენციების რეესტრი.

ახალი კვალიფიკაციის ფორმირებისას ან არსებული კვალიფიკაციის განახლების შემთხვევაში, არსებული დარგობრივი რუკის საფუძველზე დგება დარგობრივი რუკის ცვლილების პროექტი. მხედველობაში მიიღება სფეროში და მომიჯნავე სფეროების ფარგლებში უკვე არსებული კვალიფკაციები, რათა თავიდან იქნას არიდებული კვალიფიკაციების საერთო სტრუქტურაში არსებული გადაფარვები და იდენტიფიცირებული იქნას დანაკლისები. რუკაზე აღინიშნება სასურველი ცვლილებები კვალიფიკაციებისა და პროფესიის სტანდარტების ჩამონათვალში (ახალი ერთეულების შემოღება, ძველი ერთეულების გამსხვილება/დაშლა). რუკის ცვლილების პროექტის შემუშავება ხდება კვალიფიკაციებზე მუშაობის სტანდარტული პროცესის ფარგლებში.

დარგობრივი რუკა წარმოადგენს ცოცხალ დოკუმენტს, რომელიც მუდმივი განვითარების პროცესშია. მისი დანიშნულებაა, ხელი შეუწყოს პროფესიული განათლების სფეროში კვალიფიკაციების სექტორული ხედვის ჩამოყალიბებასა და განვითარებას, აგრეთვე, კვალიფიკაციების ფორმირების პროცესში სისტემური მიდგომის დანერგვას, რომელიც თითოეულ კვალიფიკაციას განიხილავს როგორც დარგობრივ კონტექსტში, ასევე მომიჯნავე კვალიფიკაციებთან მიმართებაში. სტანდარტების შექმნის/განახლების პროცესი იწყება და სრულდება დარგობრივი რუკის დოკუმენტზე მუშაობით.

დარგობრივი რუკის ნიმუში მოცემულია დანართში 1

5.2. კვალიფიკაციების საზღვრების, ფორმულირების და ხანგრძლივობის შესახებ პირველადი იდეის ჩამოყალიბება

კვალიფიკაციების შემუშავების კიდევ ერთ მნიშვნელოვან ქვეპროცესს წარმოადგენს კვალიფიკაციის საზღვრების, ფორმულირების და ხანგრძლივობის საკითხის გადაწყვეტა. ამ გადაწყვეტილების მიღებაზე გავლენას ახდენს დარგის ფარგლებში მიმართულებებისა და ქვემიმართულებების სტრუქტურა, ისევე როგორც დარგის ფარგლებში სხვადასხვა პროფესიისათვის საერთო და განსხვავებული კომპეტენციების ურთიერთმიმართება.

კვალიფიკაციების საზღვრები და ფორმულირება განისაზღვრება სწავლის დეტალური სფეროს ან (საჭიროების შემთხვევაში) ამ სფეროს ფარგლებში მიმართულების/ქვემიმართულების მიხედვით.

ახალი მეთოდოლოგიის თანახმად, სასურველია, რომ ერთი კვალიფიკაციის ფარგლებში არ იქნას გამოყენებული კონცენტრაციები და ისინი ჩამოყალიბდეს ცალკე კვალიფიკაციების სახით. ამგვარი მონოსტრუქტურული მიდგომა დღეისათვის ფართოდ გამოიყენება მსოფლიოში და ის მნიშვნელოვნად ამარტივებს კვალიფიკაციების სტრუქტურას.

საგანმანათლებლო სტანადარტები სტრუქტურულად უნდა აეწყოს პროფესიებზე შემდეგი პრინციპის დაცვით - ერთი პროფესიის სტანდარტი/ ერთი პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტი. ამ გზით ისინი გასაგები და მარტივად აღსაქმელი გახდება კერძო სექტორისათვის.

იმისათვის, რომ ერთი დარგის ქვეშ გაერთიანებულ კვალიფიკაციებს/სტანდარტებს შორის კავშირები არ დაიკარგოს, როგორც სასწავლო პროცესის დაგეგმვის, ისე ხარისხის უზრუნველყოფისა და სტანდარტებში ცვლილებების კოორდინირებული წარმართვის მიზნებისათვის, შესაძლებელია ცალკეული სტანდარტები ერთი ქუდის ქვეშ გაერთიანდნენ პროფილურად სტრუქტურირებული (განათლების ერთი დონის სტანდარტები) ან/და ორ-სამ დონიანი (განათლების სხვადსხვა დონის სტანდარტები), მაგალითად სოფლის მეურნეობის მიმართულების სტანდარტები. ამგვარად გაერთიანებულ სტანდარტებს ექნება შესავალი აღმწერი დოკუმენტი, რომელიც მიმოიხილავს, თუ რა აქვთ ამ სტანდარტებს საერთო, ხოლო თითოეული პროფესიის სტანდარტი იქნება დამოუკიდებელი ამ ქოლგის ქვეშ და, თუ საჭიროა, მის სტრუქტურაში გაიმეორებს ყველა საერთო დარგობრივ კომპონენტს.

ახალი მეთოდოლოგიით, რეკომენდებულია ტიპური კვალიფიკაციები განთავსდეს ჩარჩოს მე-4 და მე-5 დონეებზე, ხოლო მე-3 დონე, ძირითადად, დაეთმოს მომზადება-გადამზადების პროგრამებს. ასევე უმჯობესია პროგრამებს განესაზღვროთ ფიქსირებული ხანგრძლივობა: მე-4 დონეზე - 3 წელი, ინტეგრირების შემთხვევაში- 4 წელი; მე-5 დონეზე 2 წელი, გარდა საერთაშორისო სტანდარტებით განსაზღვრული განსხვავებული ვადებისა (მაგალითად, საექთნო საქმე - 3 წელი).

ერთი წელი საშუალოდ უდრის 60 ECVET კრედიტს. შესაბამისად სამწლიანი პროგრამა 180 კრედიტია. პროფესიული კრედიტების გადანაწილების მეთოდოლოგიით 180 კრედიტი

გადანაწილდება იმ მოდულებზე რომლებსაც პროგრამა ითვალისწინებს, მათი მნიშვნელოვნების; სირთულის, მასშტაბურობის და კომპლექსურობის;ძალისხმევისშესაბამისად.

კვალიფიკაციის საზღვრების და ფორმულირების დადგენის საკითხზე თავდაპირველი იდეა ყალიბდება დარგობრივი რუკის ცვლილების პროექტზე მუშაობის პროცესში, ხოლო საბოლოო გადაწყვეტილება მიიღება საგანმანათლებლო სტანდარტზე მუშაობის პროცესის დასრულებისას და აისახება დარგობრივ რუკაზე

5.3. კვალიფიკაციის სავარაუდო დონის განსაზღვრა

კვალიფიკაციის დონის განსაზღვრა კვალიფიკაციების შემუშავების/გადამუშავების მნიშვნელოვანი ქვეპროცესია. კვალიფიკაციის სავარაუდო დონე განისაზღვრება დარგობრივი რუკის ცვლილების პროექტზე მუშაობისას, ხოლო საბოლოო გადაწყვეტილება, კვალიფიკაციის დონის შესახებ მიიღება პროფესიულ საგანმანათლებლო სტანდარტზე მუშაობის დასრულების შემდგომ და აისახება დარგობრივი რუკის განახლებულ ვერსიაში.

კვალიფიკაციის დონის დადგენისთვის გამოიყენება UNESCO-ს „მსოფლიო რეფერენციული დონეების“ (World Reference Levels) განსაზღვრის მეთოდოლოგია, რომელიც წარმოადგენს ინსტრუმენტს კვალიფიკაციების და, ზოგადად, სწავლის შედეგების საერთაშორისო აღიარებისა და შედარების პროცესის ხელშეწყობისათვის[12]. იგი ეყრდნობა სწავლის შედეგების კლასიკური ტაქსონომიების და ამ მიმართულებით არსებული სამეცნიერო ცოდნის სიღრმისეულ და მრავალმხრივ ანალიზს[13].

რეფერენციული დონეების ინსტრუმენტის მნიშვნელოვან უპირატესობას წარმოადგენს ის, რომ ეს ინსტრუმენტი აღსაქმელად ძალიან მარტივია. იგი გამოიყენება, როგორც კვალიფიკაციების ფორმალური ჩარჩოების თანმხლები ინსტრუმენტი სხვადასხვა პრაქტიკული მიზნისთვის, მათ შორის კვალიფიკაციების დონეების განსაზღვრისთვის. მისი საწყისი ვერსია სპეციალურად პროფესიული განათლებისთვის შეიქმნა.

ამ მეთოდოლოგიის მიხედვით, კვალიფიკაციის დონის დადგენისას მხედველობაში მიიღება 11 ელემენტი, რომელიც ერთიანდება სამ განზომილებაში: ა) კვალიფიკაციის შესაბამის პროფესიულ როლებთან დაკავშირებული პასუხისმგებლობისა და ავტონომიურობის ხარისხი (აქტივობები, პასუხისმგებლობები, სხვებთან მუშაობა, პროფესიული განვითარება); ბ) კვალიფიკაციის შესაბამისი სწავლის შედეგების სპეციფიკა (უნარები, კომუნიკაცია, მონაცემებთან

[12] European Centre for the Development of Vocational Training (Cedefop) European Training Foundation (ETF); United Nations Educational, Scientific and Cultural Organization (UNESCO); UNESCO Institute for Lifelong Learning (UIL). (2019). Global inventory of regional and national qualifications frameworks 2017: volume I: thematic chapters.

[13] ინსტრუმენტი ეყრდნობა ბლუმის (1956), ანდერსონისა და კრათვოლის (2001) ბიგსისა და კოლისის (1982), დრეიფუსისა და დრეიფუსის (1986), მარზანოსა და კენდალის (2007) და დენინგისა და ფლორესის (2016) შრომებს.

მუშაობა, ცოდნა) და გ) პროფესიის კონტექსტის მახასიათებლები (კონტექსტი, პრობლემები და ღირებულებები).

კვალიფიკაციის დონეების ზრდასთან ერთად ადგილი აქვს შემდეგ ცვლილებებს:

- მარტივი, რუტინული, სტრუქტურირებული და შედარებით დაბალი სტრატეგიული მნიშნელობის აქტივობები ჩანაცვლდება კომპლექსური, არასტრუქტურირებული, მაღალი ან კრიტიკული მნიშვნელობის აქტივობებით;
- სტაბილური და სტრუქტურირებული, პროგნოზირებადი კონტექსტი ჩანაცვლდება კომპლექსური, ნაკლებად პროგნოზირებადი კონტექსტით, რომელიც მოითხოვს მეტ ადაპტურობასა და შემოქმედებით მიდგომას;
- ინსტრუქტაჟის ქვეშ მუშაობა ჩანაცვლდება დამოუკიდებელი მუშაობით, პასუხისმგებლობის აღებით სხვათა მუშაობასა და განვითარებაზე;
- პრაქტიკული და ტექნიკური, ვიწრო დიაპაზონის უნარების ნაცვლად უფრო მეტად გამოიყენება კოგნიტური და შემოქმედებითი, შედარებით ფართო დიაპაზონის უნარები;
- კონკრეტულ საქმიანობასთან დაკავშირებული ვიწრო პრაქტიკული ცოდნას ემატება საკუთარ და მომიჯნავე სფეროებთან/დარგებთან დაკავშირებული ფართო კონცეპტუალური და თეორიული ცოდნა;
- ნაცნობ პრობლემებზე პასუხი სტანდარტული აქტივობების შესრულებისას ჩანაცვლდება ახალი მეთოდების და მიდგომების შემუშავებით რთულ და აბსტრაქტულ საკითხებზე სამუშაოდ.

კვალიფიკაციის დონის განსაზღვრისას ფასდება კვალიფიკაციისთვის რელევანტური ყველა ელემენტი. ელემენტები განიხილება, როგორც დამოუკიდებლად, ისე ერთმანეთთან კავშირში, რათა ხელი შეეწყოს კვალიფიკაციის დონის კომპლექსურობის გაგებას. სქემა 3 ასახავს კვალიფიკაციის ელემენტების მიხედვით შეფასების ნიმუშს.

კვალიფიკაციისთვის შესაძლებელია დადგინდეს ცალკეულ ელემენტებთან შედარებით მაღალი დონე, თუ უფრო მაღალი დონის შესაბამისი ელემენტები აღემატება უფრო დაბალი დონის შესაბამის ელემენტებს.

სქემა 3 კვალიფიკაციის დონის შეფასების ნიმუში (მსოფლიო რეფერენციული დონეების ინსტრუმენტი)



დეტალური ინფორმაცია რეფერენციული დონეების ინსტრუმენტის 11 ელემენტის აღმწერების შესახებ მოცემულია დანართში 2.

.

5.4. პროფესიის სტანდარტის ფორმირება

პროფესიული მოვალეობებისა და ამოცანების აღწერა

პროფესიული მოვალეობებისა და ამოცანების აღწერა კვალიფიკაციების შემუშავების ერთ-ერთი საკვანძო ეტაპია, რადგან სწორედ პროფესიული მოვალეობებისა და ამოცანების გათვალისწინებით განისაზღვრება პროფესიისთვის მნიშვნელოვანი კომპეტენციები და შესაბამისი სწავლის შედეგები.

პროფესიის სტანდარტიდან პროფესიულ საგანმანათლებლო სტანდარტში ინფორმაციის გადატანის ახალი პრინციპის თანახმად, პროფესიის სტანდარტის ველი „მოვალეობა“ პროფესიულ საგანმანათლებლო სტანდარტში გადადის „მოდულის“ სახით, ხოლო პროფესიის სტანდარტის ველი „ამოცანა“ პროფესიულ საგანმანათლებლო სტანდარტში გადადის, როგორც „პროფესიული უნარი“.

შესაბამისად, პროფესიული მოვალეობებისა და ამოცანების აღწერისთვის მკაფიო წესების შემუშავება მოიაზრება, როგორც პროფესიულ საგანმანათლებლო სტანდარტში მოდულებისა და სწავლის შედეგების მნიშვნელობისა და წონის არაერთგვაროვნების გამოწვევის დაძლევის ერთ-ერთი გზა.

პროფესიული მოვალეობებისა და ამოცანების თავდაპირველი ვერსიების ფორმულირებისთვის გამოიყენება DACUM მეთოდოლოგია.

იმისათვის, რომ პროფესიის სტანდარტში პროფესიული ამოცანები ერთნაირი სიღრმითა და მსგავსი პრინციპების გამოყენებით აღიწეროს, ახალ მოდელში, დამატებით, გამოყენებული იქნება პროფესიების საინფორმაციო ქსელის O*NET (The Occupational Information Network)[14] მიდგომა. კერძოდ, პროფესიული ამოცანების ფორმულირებისას დაცული იქნება კონკრეტული წესი, რომელიც აზუსტებს ჩანაწერის აგების პრინციპს და ჩანაწერის დეტალიზაციის ხარისხს. პროფესიულ ამოცანაზე მუშაობის პროცედურა გულისხმობს: ა) პროფესიული ამოცანების თავდაპირველი ფორმით ჩამოყალიბებას სამუშაო ჯგუფის მიერ, ბ) პროფესიული ამოცანების გადამოწმებას წესთან მიმართებაში (სტანდარტიზაციას ე.წ. მეთოდოლოგიური მხარდაჭერის ჯგუფის მიერ) და გ) სტანდარტიზებული ჩანაწერების ვალიდაციას ფართო პროფესიული ჯგუფების (დარგობრივი პანელის ან ფოკუს ჯგუფის) აზრის კვლევის გზით.

დეტალური ინფორმაცია სტანდარტიზაციისა და ვალიდაციის პროცესის შესახებ მოცემულია შემდგომ თავებში.

პროფესიული მოვალეობების შესრულებისათვის საჭირო ცოდნის, უნარებისა და შესაძლებლობების ფორმულირება

იმისათვის, რომ ყველა სტანდარტში ერთგვაროვანი პრინციპით აღიწეროს სწავლის შედეგები, კვალიფიკაციების ფორმირების პროცესში გამოყენებული იქნება მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის მიერ შემუშავებული ახალი ინსტრუმენტი კომპეტენციების კლასიფიკაციისა და სისტემატიზაციისთვის - ე.წ. „მსოფლიო უნარების ტაქსონომია “ (Global skill taxonomy).

ეს ინსტრუმენტი აერთიანებს მსოფლიოში არსებულ გამოცდილებას კომპეტენციების კლასიფიკაციის მიმართულებით[15]. იგი კომპეტენციებს ოთხ ძირითად კატეგორიაში აერთიანებს. ეს განზომილებებია: (1) ზოგადი უნარები/ცოდნა, (2) პროფესიული უნარები/ცოდნა, (3) დამოკიდებულებები და (4) შესაძლებლობები (abilities). თითოეული კატეგორია (გარდა პროფესიული უნარების/ცოდნის) შესაბამის ქვეკატეგორიებად არის ჩაშლილი. პროფესიული უნარების/ცოდნის ველები ცარიელია და უნდა შეივსოს შესაბამისი პირის/ჯგუფის მიერ.

კვალიფიკაციებზე მუშაობის კონტექსტში მოცემული ინსტრუმენტის გამოყენება იგეგმება როგორც პროფესიის, ისე პროფესიულ საგანმანათლებლო სტანდარტების შექმნისას. კერძოდ,

---

[14] https://www.onetcenter.org/ombclearance.html

[15] ეს ინსტრუმენტი აერთაინებს მსოფლიოში არსებულ გამოცდილებას კომპეტენციების კლასიფიკაციის მიმართულებით და ეყრდნობა შემდეგ რეფერენციულ სისტემებს: O*NET პროფესიების საინფორმაციო ქსელი (The Occupational Information Network, ESCO - უნარების, კომპეტენციების, კვალიფიკაციებისა და პროფესიების ევროპული კლასიფიკაცია (The multilingual classification of European Skills, Competences, Qualifications and Occupations)

პროფესიის სტანდარტზე მუშაობისას განისაზღვრება, თუ რომელი უნარები, დამოკიდებულებები და შესაძლებლობებია მნიშვნელოვანი პროფესიისთვის, ხოლო პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის შინაარსში ეს კომპეტენციები უცვლელად აისახება სწავლის შედეგებში.

სტანდარტზე მუშაობის პროცესში ჩართულ პირებს კითხვარის სახით ეძლევათ ტაქსონომიით განსაზღვრული კომპეტენციებისა და შესაძლებლობების ჩამონათვალი, საიდანაც ისინი მონიშნავენ პროფესიისათვის რელევანტურ ერთეულებს.

ინსტრუმენტის გამოყენება ხელს შეუწყობს პროფესიისათვის მნიშვნელოვანი კომპეტენციების (მათ შორის საკვანძო კომპეტენციების) უფრო სრულად და, ამავე დროს, ერთგვაროვნად ასახვას სტანდარტებში (8 საკვანძო კომპეტენცია და მათი შემადგენელი ელემენტები მსოფლიო უნარების ტაქსონომიის ნაწილია).

კომპეტენციების აღწერის ამ ახალმა ინსტრუმენტმა, ასევე, ხელი უნდა შეუწყოს საქართველოს უკეთესად ინტეგრირებას პროფესიული განათლების საერთაშორისო სივრცეში, მსოფლიო კვლევებსა და რეფერენციულ სისტემებში მონაწილეობას, პროფესიული განათლების განვითარების მიმართულებით საერთაშორისო თანამშრომლობის გაღრმავებას, ცოდნის გაცვლას, კვალიფიკაციების პორტაბელურობასა და სტუდენტთა მობილობას[16] [17].

კომპეტენციების ველების ერთგვაროვნად წარმოდგენა, ზოგადად, ხელს შეუწყობს კვალიფიკაციების შედარებითობის გაზრდას და გააადვილებს კვალიფიკაციების დონის განსაზღვრას[18].

მსოფლიო უნარების ტაქსონომია მოცემულია დანართში 4. დანართი, აგრეთვე, აჩვენებს ტაქსონომიების ელემენტების კავშირს 8 საკვანძო კომპეტენციასთან და სწავლის შედეგების მესამე განზომილებასთან (პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა).

ახალი ველების ფორმულირება პროფესიის სტანდარტში

პროფესიული ორიენტაციის ხელშეწყობისათვის და კვალიფიკაციის ფორმირებისთვის მნიშვნელოვანი სხვა ინფორმაციის შეგროვების მიზნით, პროფესიის სტანდარტს ემატება შემდეგი ახალი ველები: სამუშაო სტილი, სამუშაო ღირებულებები, სამუშაო ინტერესები და სამუშაო კონტექსტი.

პროფესიის სტანდარტისთვის ახალ ველებზე მუშაობა მიმდინარეობს იგივე პრინციპით, რაც უნარებისა და შესაძლებლობების შემთხვევაში იყო გამოყენებული. კერძოდ, ველების

[16] Cedefop, 2019. Comparing Vocational Education and Training Qualifications: towards a European Comparative Methodology'

[17] World Economic Forum. (2020). The Future of Jobs Report 2020. Geneva: World Economic Forum.

[18] Cedefop, 2019. Comparing Vocational Education and Training Qualifications: towards a European Comparative Methodology'

ფორმირებისას, ამ შემთხვევაშიც, გამოიყენება მსოფლიოში აღიარებული ტაქსონომიები (O*NET). სტანდარტის შემუშავების პროცესში ჩართულ პირებს ეძლევათ ტაქსონომიით განსაზღრული ჩამონათვალი, საიდანაც ისინი მონიშნავენ პროფესიისათვის რელევანტურ ერთეულებს.

ახალი ველების ტაქსონომიები მოცემულია დანართში 5

პროფესიის სტანდარტის ჩანაწერების სტანდარტიზაცია

პროფესიული მოვალეობების, ამოცანების, ცოდნის, მატერიალური რესურსის, კონტექსტის, სტილის, ინტერესების, ღირებულებების, პროფესიისთვის მნიშვნელოვანი ზოგადი უნარების, დამოკიდებულებების და შესაძლებლობების პირველადი ჩანაწერების სტანდარტიზაცია გულისხმობს: ჩანაწერების ფორმულირებების წესების დაცვის გადამოწმებას, ასევე, საერთაშორისო ტაქსონომიებთან მიმართებაში პირველადი ჩანაწერების ანალიზს. ამ ეტაპზე, ასევე, ხდება იმის უზრუნველყოფა, რომ ამოცანები და მოვალეობები სტანდარტის დოკუმენტში ერთნაირი სიღრმით და დეტალიზაციით იყოს გაშლილი და სტანდარტში სრულად იყოს ასახული პროფესიისთვის მნიშვნელოვანი ზოგადი უნარები და საკვანძო კომპეტენციები.

ჩანაწერების სტანდარტიზაციას ახდენს მეთოდოლოგიური მხარდაჭერის ჯგუფი - მეთოდოლოგიური მხარდაჭერის ექსპერტის/ექსპერტების (არანაკლებ 3 წევრისა) და HR სპეციალისტების შემადგენლობით (არანაკლებ 2 წევრისა), საჭიროებისამებრ სფეროს წარმომადგენლის მოწვევით.

პროფესიის სტანდარტის ჩანაწერების ვალიდაცია

შემდეგ ეტაპზე სტანდარტიზირებული ჩანაწერები გადის ე.წ. ვალიდაციის პროცესს, რაც გულისხმობს ჩანაწერებთან დაკავშირებით დარგის წარმომადგენელი უფრო ფართო ჯგუფების, ისევე როგორც დარგში საგანმანათლებლო სერვისის პროვაიდერების აზრის გაგებას. კერძოდ, დარგის წარმომადგენლები ავსებენ სტანდარტიზებულ კითხვარს, სადაც განსაზღვრავენ, რამდენად რელევანუტრია კონკრეტული პროფესიისთვის ამ ეტაპისათვის განსაზღრული ჩანაწერები.

ვალიდაციის პროცესის განხორციელებისთვის მეთოდოლოგიური მხარდაჭერის ჯგუფი ამზადებს ინსტრუმენტებს (სტანდარტიზირებული ჩანაწერების გამოყენებით), ახორციელებს შერჩევას და საველე სამუშაოებს, ამუშავებს მონაცემებს და შეიმუშავებს პროფესიის სტანდარტის ჩანაწერების ცვლილების შეთავაზებას (საველე სამუშაოების შედეგებზე დაყრდნობით).

ვალიდაცია შესაძლებელია განხორციელდეს ორი მეთოდის გამოყენებით - გამოკითხვის ან ფოკუს ჯგუფის გზით.

ვალიდაციის კონკრეტული მეთოდი (ფოკუს ჯგუფი ან გამოკითხვა) განისაზღვრება დარგში არსებული აქტორების რაოდენობისა და მათი კვლევისათვის ხელმისაწვდომობის გათვალისწინებით.

ორგანიზაციების შერჩევის ჩარჩოდ გამოიყენება ბიზნეს ორგანიზაციების რეესტრი (საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ბაზა). შერჩევისას ორგანიზაციების სტრატიფიკაციის (ქვეჯგუფებად დაყოფის) ერთ-ერთ მნიშვნელოვან ცვლადად მოიაზრება ბიზნეს ორგანიზაციის ზომა (მსხვილი, საშუალო, მცირე ბიზნესი). ორგანიზაციის შიგნით რესპონდენტების შერჩევის სტრატეგიად გამოიყენება ე.წ. „კრიტიკული შემთხვევების“ მიდგომა - რესპონდენტები უნდა ფლობდნენ შეძლებისდაგვარად სრულ ინფორმაციას პროფესიის სპეციფიკის შესახებ. კვლევისათვის საინტერესოა ორი ტიპის რესპონდენტი: მენეჯერი (რომელიც ხელმძღვანელობს კონკრეტული პროფესიის წარმომადგენელს) და უშუალოდ პროფესიის წარმომადგენელი.

დარგობრივი ფოკუს ჯგუფის მონაწილეები განისაზღვრება შერჩევის არაალბათური მეთოდების გამოყენებით (არანაკლებ 5, არაუმეტეს 25 წევრი).

დარგობრივი პანელის მონაწილეები განისაზღვრება შერჩევის ალბათური ან არაალბათური მეთოდების გამოყენებით. დარგობრივი პანელის მინიმალური ზომაა 25, პანელის ზუსტი ზომა განისაზღვრება დარგის შესაბამისად - ორგანიზაციების რეესტრში ერთეულების რაოდენობის (გენერალური ერთობლიობის ზომის) გათვალისწინებით.

კითხვარების ადმინისტრირება ხდება ელექტრონულად.

მონაცემების ანალიზის საფუძველზე მეთოდოლოგიური მხარდაჭერის ჯგუფი წერს ანგარიშს და, საჭროების შემთვევაში, აყალიბებს წინადადებას, პროფესიის სტანდარტის ჩანაწერების ცვლილების შესახებ.

პროფესიის სტანდარტის საბოლოო პროექტის შემუშავება

ვალიდაციის შედეგებზე დაყრდნობით ხდება ჩანაწერების ჩასწორება, პროფესიის სტანდარტის სხვა ტექნიკური ველების შევსება და პროფესიის სტანდარტის საბოლოო პროექტის ჩამოყალიბება, რომელიც მზადაა საჯარო განხილვისთვის.

ვალიდაციის შედეგების განხილვას, ინტეგრირებას და პროფესიის სტანდარტის საბოლოო პროექტის ჩამოყალიბებას კოორდინაციას უწევს პროფესიული უნარების სააგენტო ან, არსებობის შემთხვევაში, დარგობრივი უნარების ორგანიზაცია.

5.5. პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის ფორმირება

ინფორმაციის გადმოტანა პროფესიის სტანდარტიდან და სწავლის შედეგების მატრიცის სახით წარმოდგენა

პროფესიულ საგანმანათლებლო სტანდარტში პროფესიის სტანდარტიდან ინფორმაცია გადმოდის უცვლელად (შესაძლებელია მცირე ცვლილებები პროფესიული ამოცანების მოდულებად რეფორმულირების კომპონენტში).

სწავლის შედეგები პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის ახალ ვერსიაში უფრო სტრუქტურირებულად და სტანდარტიზებულად არის აღწერილი და მოცემულია პროფესიულ საგანმანათლებლო სტანდარტის დოკუმენტში, მატრიცის სახით. კერძოდ, თითოეული მოდულისთვის (პროფესიული მოვალეობისთვის) დაზუსტებულია:

- საჭირო პროფესიული უნარები (შეესაბამება პროფესიულ ამოცანებს პროფესიის სტანდარტში);
- საჭირო ზოგადი უნარები (იდენტურად არის მოცემული პროფესიის სტანდარტში), მათში ინტეგრირებულია პასუხისმგებლობისა და ავტონომიურობის განზომილება და საკვანძო კომპეტენციები).
- ცოდნა (იდენტურად არის მოცემული პროფესიის სტანდარტში)

მოდულების სტრუქტურის ფორმირება

პროფესიული სტანდარტის წინმსწრები ვერსიის მსგავსად, ახალ ვერსიაშიც მოცემულია მოდულების ჩამონათვალი, თუმცა, სწავლების ფორმების მოქნილობის გაზრდისათვის, პროფესიულ საგანმანათლებლო სტანდარტში მოდულების სტრუქტურა წარმოდგენილია ორი ალტერნატიული ფორმით - საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლისთვის და სამუშაო გარემოში სწავლისთვის.

სამუშაოზე დაფუძნებული სწავლის მოდელში არჩევითი მოდული/მოდულებით განსაზღვრული კრედიტები მთლიანად შეიძლება შეივსოს საწარმოო პრაქტიკით (ამ შემთხვევაში გამოყენებულია ფინეთისა და ესტონეთის პრაქტიკა). ამასთან, არ არის განსაზღვრული წინაპირობები მოდულებისთვის.

საწარმოო პრაქტიკა არ წარმოადგენს მოდულს, რადგან ის არ არის სწავლის შედეგების თვითკმარი ერთობლიობა - პრაქტიკის კომპონენტი გადის სხვადასხვა მოდულით გათვალისწინებულ სწავლის შედეგებზე. მისი შეფასება უნდა მოხდეს სხვაგვარად. საწარმოო პრაქტიკის აღწერა მოდულის მსგავსად, დანართის სახით ერთვის პროფესიულ საგანმანათლებლო სტანდარტს.

მოდულების შინაარსის ფორმირება და შეფასების წესის ჩამოყალიბება

მოდულების ველების ფორმირება ხდება პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის ძველი ვერსიის მსგავსად. წინმსწრებ ვერსიასთან ძირითად განსხვავებას წარმოადგენს ის, რომ მოდულის ველების სახელწოდებები სინქრონიზებულია შეფასების წესით განსაზღვრული ველების ჩანაწერებთან. მოდულების შინაარსსა და შეფასების წესსზე მუშაობა ერთდროულად მიმდინარეობს, რაც უზრუნველყოფს ამ ორი დოკუმენტის შედარებითობასა და თავსებადობას.

სტანდარტების საჯარო განხილვა და დამტკიცება

ახალი მეთოდოლოგიით კვალიფიკაციების შემუშავების პროცესში დამატებულია პროფესიის სტანდარტის საჯარო განხილვა. ორივე სტანდარტის საჯარო განხილვის დასრულების შემდეგ ხდება სტანდარტების დამტკიცება და შესაბამისი ცვლილების ასახვა დარგობრივ რუკაზე.

6. პროფესიის სტანდარტისა და პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის შექმნის, განახლების და გაუქმების პროცედურა

მოცემულ თავში აღწერილია:

1. პროფესიის სტანდარტისა და პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის შექმნის/განახლების/გაუქმების პროცესის საფუძვლები;
2. გარე ინიცირებით პროფესიის სტანდარტის შექმნის/განახლების/გაუქმების პროცესის ეტაპები და აღწერა, დარგობრივი უნარების ორგანიზაციის არარსებობის შემთხვევაში;
3. გარე ინიცირებით პროფესიის სტანდარტის შექმნის/განახლების/გაუქმების პროცესის ეტაპები და აღწერა, დარგობრივი უნარების ორგანიზაციის არსებობის შემთხვევაში, მათ შორის დარგობრივი უნარების ორგანიზაციის მიერ ინიცირება;
4. სააგენტოს ინიცირებით პროფესიის სტანდარტის შექმნის/განახლების/გაუქმების პროცესის ეტაპები და აღწერა, დარგობრივი უნარების ორგანიზაციის არარსებობისა და არსებობის შემთხვევაში.

პროფესიის სტანდარტის და პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის შექმნა/განახლება/გაუქმების საფუძვლები

შექმნის საფუძვლები

პროფესიის სტანდარტის შექმნის საფუძველს წარმოადგენს დასაბუთებული ინიციატივა, რომელიც ეყრდნობა ერთ-ერთ შემდეგ გარემოებას:

- შრომის ბაზრის კვლევის შედეგი;
- პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის შექმნა;
- საერთაშორისო ხელშეკრულების საფუძველზე წარმოშობილი ვალდებულება;
- საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები.

პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის შექმნის საფუძველს წარმოადგენს შესაბამისი სფეროს პროფესიის სტანდარტი. პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტისგან დამოუკიდებლად შესაძლოა შემუშავდეს მოდული/მოდულები, ერთ-ერთი ან რამდენიმე შემდეგი მიზნით:

- მოდულის/მოდულების პროფესიულ საგანმანათლებლო სტანდარტში დამატება;
- შრომის ბაზარზე მოთხოვნადი ცალკეული კომპეტენციის/კომპეტენციების განვითარება;
- არჩევითი სტატუსის მქონე დამოუკიდებელი მოდულის/მოდულების შემუშავება;

- საკვანძო კომპეტენციების გამომუშავების უზრუნველყოფა.

შენიშვნა: არჩევითი სტატუსის მქონე დამოუკიდებელ მოდულს განსაზღვრული უნდა ქონდეს გადახედვის ვადა.

განახლების საფუძვლები

პროფესიის სტანდარტის განახლების საფუძველს წარმოადგენს დასაბუთებული ინიციატივა, რომელიც ეყრდნობა ერთ-ერთ შემდეგ გარემოებას:

- შრომის ბაზრის კვლევის შედეგი;
- პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის განახლება;
- პროფესიის სტანდარტის გეგმიური განხილვის შედეგები.
- საერთაშორისო ხელშეკრულების საფუძველზე წარმოშობილი ვალდებულება;
- საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები;

პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის განახლების საფუძველს წარმოადგენს დასაბუთებული ინიციატივა, რომელიც ეყრდნობა ერთ-ერთ შემდეგ გარემოებას:

- შრომის ბაზრის კვლევის შედეგი;
- პროფესიის სტანდარტის განახლება ან/და გეგმიური გადახედვის შედეგები;
- პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის გეგმიური გადახედვის ვადის დადგომა;
- შიდა და/ან გარე ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების გამოყენების შედეგად დამდგარი გარემოება;
- საერთაშორისო ხელშეკრულების საფუძველზე წარმოშობილი ვალდებულება;
- საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები;
- პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის შინაარსობრივი ცვლილების საჭიროება.

პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტში და პროფესიის სტანდარტში ტექნიკური სახის ცვლილებები ხორციელდება ამ მეთოდოლოგიით დადგენილი პროცედურების გავლის გარეშე სააგენტოს, დარგობრივი უნარების ორგანიზაციის ან ნებისმიერი ინიციატორის შესაბამისი მიმართვის საფუძველზე, ცვლილების თაობაზე ინდივიდუალური ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტის გამოცემისა და რეესტრში ასახვის გზით. ტექნიკურ ცვლილებებს განეკუთვნება დოკუმენტის ენობრივ სისწორესთან, ტექსტურ წყობასთან ან/და რედაქტირებასთან დაკავშირებული ცვლილებები.

გაუქმების საფუძვლები

პროფესიის სტანდარტის გაუქმების საფუძველი შესაძლოა იყოს სტანდარტის გეგმიური გადახედვის შედეგები ან სხვა დასაბუთებული ინიციატივა.

პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის გაუქმების საფუძველი შესაძლოა იყოს გეგმიური გადახედვის შედეგები, ან სხვა დასაბუთებული ინიციატივა მათ შორის

- საერთაშორისო ხელშეკრულების საფუძველზე წარმოშობილი ვალდებულება;
- საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები;

გარე ინიცირებით პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის და პროფესიის სტანდარტის შექმნის/განახლების/გაუქმების პროცესის ეტაპები და აღწერა, დარგობრივი უნარების ორგანიზაციის არარსებობის შემთხვევაში

შექმნა/განახლება/გაუქმების პროცესის ეტაპები

პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის შექმნის ეტაპები

- განაცხადის წარდგენა პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის შექმნის ინიციატივის თაობაზე;
- სააგენტოს მიერ ინიციატორის კონსულტირება პროცესის ეტაპებთან და დარგობრივი რუკის შესწავლა/გადახედვასთან დაკავშირებით;
-
- ინიციატორის მიერ პროფესიის სტანდარტის პირველი პროექტის და დარგობრივი რუკის ცვლილების პროექტის წარდგენა;
- სააგენტოს მიერ მეთოდოლოგიური მხარდაჭერის ჯგუფის ფორმირება;
- მეთოდოლოგიური მხარდაჭერის ჯგუფის მიერ, ინიციატორის მიერ აღწერილი კომპონენტების სტანდარტიზაცია და მისთვის მიწოდება დადასტურების მიზნით;
- ინიციატორის მიერ პროფესიის სტანდარტის დადასტურება - მეორე პროექტის მიწოდება მეთოდოლოგიური მხარდაჭერის ჯგუფისთვის;
- მეთოდოლოგიური მხარდაჭერის ჯგუფის მიერ ვალიდაციის განხორციელება და შედეგების ინიციატორისთვის მიწოდება;
- ინიციატორის მიერ შეჯერებული პროფესიის სტანდარტის პროექტის შემუშავება და მეთოდოლოგიური მხარდაჭერის ჯგუფისთვის წარდგენა (შემდგომ ეტაპზე, პროფესიის სტანდარტის პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტთან შესაბამისობის დადგენის მიზნით);

- ინიციატორის მიერ პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის პროექტის შემუშავება და მეთოდოლოგიური მხარდაჭერის ჯგუფისთვის წარდგენა;
- მეთოდოლოგიური მხარდაჭერის ჯგუფის მიერ პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის პროექტის შესწავლა - პროფესიის სტანდარტთან შესაბამისობის დადგენა, რეკომენდაციების შემუშავება და ინიციატორისთვის მიწოდება;
- ინიციატორის მიერ პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის და პროფესიის სტანდარტის შეჯერებული პროექტების შემუშავება და სააგენტოსთვის წარდგენა;
- სააგენტოს მიერ საჯარო განხილვის ორგანიზება;
- ინიციატორის მიერ, საჯარო განხილვის შედეგების გათვალისწინებით, პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის და პროფესიის სტანდარტის საბოლოო პროექტების შემუშავება, დარგობრივი რუკის გადახედვა და მასში ცვლილებების შეტანა; სააგენტოსთვის პროექტების დასამტკიცებლად წარდგენა;
- სააგენტოს მიერ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა პროფესიის სტანდარტისა და პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის დამტკიცების თაობაზე და დარგობრივ რუკასა და რეესტრში ასახვა.

პროფესიის სტანდარტის დამოუკიდებლად შექმნის ინიციატივის შემთხვევაში პროცესი მოიცავს შემდეგ ეტაპებს:

- განაცხადის წარდგენა პროფესიის სტანდარტის შექმნის ინიციატივის თაობაზე;
- სააგენტოს მიერ ინიციატორის კონსულტირება პროცესის ეტაპებთან და დარგობრივი რუკის შესწავლა/გადახედვასთან დაკავშირებით;
-
- ინიციატორის მიერ პროფესიის სტანდარტის პირველი პროექტის და დარგობრივი რუკის ცვლილების პროექტის წარდგენა;
- სააგენტოს მიერ მეთოდოლოგიური მხარდაჭერის ჯგუფის ფორმირება;
- მეთოდოლოგიური მხარდაჭერის ჯგუფის მიერ, ინიციატორის მიერ აღწერილი კომპონენტების სტანდარტიზაცია და ინიციატორისთვის მიწოდება დადასტურების მიზნით;
- ინიციატორის მიერ პროფესიის სტანდარტის დადასტურება - მეორე პროექტის მიწოდება მეთოდოლოგიური მხარდაჭერის ჯგუფისთვის;
- მეთოდოლოგიური მხარდაჭერის ჯგუფის მიერ ვალიდაციის განხორციელება და ინიციატორისთვის მიწოდება;
- ინიციატორის მიერ შეჯერებული პროექტის შემუშავება და სააგენტოსთვის წარდგენა;
- სააგენტოს მიერ საჯარო განხილვის ორგანიზება;
- ინიციატორის მიერ, საჯარო განხილვის შედეგების გათვალისწინებით, პროფესიის სტანდარტის საბოლოო ვერსიის შემუშავება, დარგობრივი რუკის გადახედვა და

ცვლილებების შეტანა, პროფესიის სტანდარტის სააგენტოსთვის დასამტკიცებლად წარდგენა;

- სააგენტოს მიერ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა პროფესიის სტანდარტის დამტკიცების თაობაზე და დარგობრივ რუკასა და რეესტრში ასახვა.

შენიშვნა: მოქმედი პროფესიული სტანდარტების განახლების პროცესი წარიმართება პროფესიის სტანდარტის შექმნის ეტაპების შესაბამისად.

პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის განახლების ეტაპები

- განაცხადის წარდგენა ინიციატივის თაობაზე;
- სააგენტოს მიერ ინიციატორის კონსულტირება პროცესის ეტაპებთან და დარგობრივი რუკის შესწავლა/გადახედვასთან დაკავშირებით;
-
- ინიციატორის მიერ პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის განახლებული ვერსიის და დარგობრივი რუკის ცვლილების პროექტის წარდგენა;
- სააგენტოს მიერ მეთოდოლოგიური მხარდაჭერის ჯგუფის ფორმირება;
- მეთოდოლოგიური მხარდაჭერის ჯგუფის მიერ განახლებული პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის პროექტის შესწავლა, ინიციატორისთვის რეკომენდაციების მიწოდება, მათ შორის საფუძვლად არსებული პროფესიის სტანდარტის განახლების აუცილებლობის შესახებ;
- ინიციატორის მიერ რეკომენდაციების გათვალისწინებით, განახლებული პროექტების სააგენტოსთვის წარდგენა;
- მეთოდოლოგიური მხარდაჭერის ჯგუფის მიერ, ინიციატორის მიერ აღწერილი კომპონენტების სტანდარტიზაცია და ინიციატორისთვის მიწოდება დადასტურების მიზნით;
- ინიციატორის მიერ შეჯერებული პროექტების შემუშავება და სააგენტოსთვის წარდგენა;
- სააგენტოს მიერ საჯარო განხილვის ორგანიზება;
- ინიციატორის მიერ, საჯარო განხილვის შედეგების გათვალისწინებით, დარგობრივი რუკის გადახედვა და ცვლილებების შეტანა, განახლებული საბოლოო პროექტების სააგენტოსთვის წარდგენა;
- სააგენტოს მიერ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა პროფესიულ საგანმანათლებლო სტანდარტსა და პროფესიის სტანდარტში ცვლილების შეტანის თაობაზე და დარგობრივ რუკასა და რეესტრში ასახვა.

შენიშვნა: მოქმედი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის განახლება წარიმართება პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის შექმნის ეტაპების შესაბამისად.

შენიშვნა: პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის განახლების შემთხვევაში, მეთოდოლოგიური მხარდაჭერის ჯგუფის სამუშაო არ მოიცავს ვალიდაციის ეტაპს;

დამოუკიდებლად არსებული პროფესიის სტანდარტის განახლების ინიციატივის შემთხვევაში პროცესი მოიცავს შემდეგ ეტაპებს:

- განაცხადის წარდგენა ინიციატივის თაობაზე;
- სააგენტოს მიერ ინიციატორის კონსულტირება პროცესის ეტაპებთან და დარგობრივი რუკის შესწავლა/გადახედვასთან დაკავშირებით;
- ინიციატორის მიერ პროფესიის სტანდარტის განახლებული პროექტის და დარგობრივი რუკის ცვლილების პროექტის წარდგენა;
- სააგენტოს მიერ მეთოდოლოგიური მხარდაჭერის ჯგუფის ფორმირება;
- მეთოდოლოგიური მხარდაჭერის ჯგუფის მიერ განახლებული პროექტის შესწავლა და სტანდარტიზაცია; რეკომენდაციების შემუშავება და ინიციატორისთვის წარდგენა;
- ინიციატორის მიერ, რეკომენდაციების გათვალისწინებით, განახლებული პროექტის სააგენტოსთვის წარდგენა;
- სააგენტოს მიერ საჯარო განხილვის ორგანიზება;
- ინიციატორის მიერ, საჯარო განხილვის შედეგების გათვალისწინებით, დარგობრივი რუკის გადახედვა და ცვლილებების შეტანა, განახლებული საბოლოო პროექტის სააგენტოსთვის წარდგენა;
- სააგენტოს მიერ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა პროფესიის სტანდარტში ცვლილების შეტანის თაობაზე და დარგობრივ რუკასა და რეესტრში ასახვა.

  შენიშვნა: დამოუკიდებლად არსებული პროფესიის სტანდარტის განახლების შემთხვევაში, მეთოდოლოგიური მხარდაჭერის ჯგუფის სამუშაო არ მოიცავს ვალიდაციის ეტაპს.

  პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის გაუქმების პროცესის ეტაპები

- განაცხადის წარდგენა ინიციატივის თაობაზე;
- სააგენტოს მიერ საჯარო განხილვის ორგანიზება;

- საჯარო განხილვის გათვალისწინებით, სააგენტოს მიერ პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის გაუქმების შესახებ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა და დარგობრივ რუკასა და რეესტრში ასახვა.

  დამოუკიდებლად არსებული პროფესიის სტანდარტის გაუქმების ინიციატივის შემთხვევაში პროცესი მოიცავს შემდეგ ეტაპებს:

- განაცხადის წარდგენა ინიციატივის თაობაზე;
- სააგენტოს მიერ საჯარო განხილვის ორგანიზება;
- საჯარო განხილვის გათვალისწინებით, სააგენტოს მიერ პროფესიის სტანდარტის გაუქმების შესახებ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა და დარგობრივ რუკასა და რეესტრში ასახვა.

შექმნა/განახლება/გაუქმების პროცესის აღწერა

ინიციატივის წარდგენის შემდგომ, სააგენტო ინიციატორს კონსულტირებას უწევს პროცესის ეტაპებთან და დარგობრივი რუკის შესწავლა/გადახედვასთან დაკავშირებით.

ინიციატორის მხრიდან ხდება დარგობრივი რუკის ცვლილების პროექტის შემუშავება, რომელიც წარმოადგენს პროფესიისა და პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტებზე მუშაობის დაწყების საფუძველს. დარგობრივი რუკის ცვლილების პროექტის შემუშავება მოიცავს კვალიფიკაციისთვის პროფესიული კომპეტენციების ძირითადი და დამატებითი არეების, პროფესიული საქმიანობის ძირითადი მიმართულებებსა და ქვემიმართულებების, აგრეთვე დონის, კრედიტებისა და სახელწოდების სავარაუდო განსაზღვრას.

პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის ან პროფესიის სტანდარტის შექმნის/განახლების შემთხვევაში, ინიციატორს განესაზღვრება ვადა შემდეგი დოკუმენტების წარმოსადგენად:

- განცხადება;
- პროფესიის სტანდარტის პირველი პროექტი/სტანდარტის განახლებული პროექტი;
- დარგობრივი რუკის ცვლილების პროექტი;
- სამუშაოს შესრულების შესახებ ანგარიში;

პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის ან პროფესიის სტანდარტის გაუქმების საკითხი უნდა იყოს შესაბამისი დარგის წარმომადგენლებისა და პროვაიდერების მიერ გაზიარებული. სააგენტო გამოსცემს გაუქმების თაობაზე შესაბამის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტს და ცვლილებას ასახავს დარგობრივ რუკასა და რეესტრში.

პროფესიის სტანდარტის პირველი პროექტის შექმნა გულისხმობს შემდეგი კომპონენტების აღწერას და შესაბამისი ველების შევსებას: პროფესიული მოვალეობები, ამოცანები, ცოდნა (DACUM მეთოდოლოგიის გამოყენებით); პროფესიისთვის მნიშვნელოვანი ზოგადი უნარები, დამოკიდებულებები და შესაძლებლობები; მატერიალური რესურსი; სამუშაო კონტექსტი, სტილი, ინტერესები, ღირებულებები (შესაბამისი ტაქსონომიების გამოყენებით);

პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის განახლების შემთხვევაში აუცილებელია საფუძვლად არსებული პროფესიის სტანდარტის/სტანდარტების გადახედვა და შესაბამისი ცვლილებების შეტანა.

განცხადებისა და თანდართული დოკუმენტების დადგენილ ვადაში წარმოდგენის შემდგომ, სააგენტო განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების მიზნით ქმნის მეთოდოლოგიური მხარდაჭერის ჯგუფს მეთოდოლოგიური მხარდაჭერის ექსპერტის/ექსპერტების, HR სპეციალისტების შემადგენლობით. საჭიროების შემთხვევაში აღნიშნულ ჯგუფში შედის სფეროს წარმომადგენლები. მეთოდოლოგიური მხარდაჭერის ჯგუფი ახდენს პროფესიის სტანდარტის პირველი პროექტის კომპონენტების ა) სტანდარტიზაციას და ბ) ვალიდაციას. ვალიდაციის პროცესის განხორციელების მიზნით, მეთოდოლოგიური მხარდაჭერის ჯგუფი ატარებს დამსაქმებლის კვლევას. დამსაქმებელთა ქსელის მასშტაბურობიდან და სხვა სპეციფიკიდან გამომდინარე, ვალიდაციის პროცესი შეიძლება მოიაზრებდეს დარგობრივი ფოკუს ჯგუფების ორგანიზებას ან/და დარგობრივი პანელის გამოკითხვას სტანდარტიზებული ინსტრუმენტებისა და კვლევის რაოდენობრივი მეთოდების გამოყენებით.

ა) სტანდარტიზაცია

პროფესიული მოვალეობების, ამოცანების, ცოდნის, მატერიალური რესურსის, კონტექსტის, სტილის, ინტერესების, ღირებულებების, პროფესიისთვის მნიშვნელოვანი ზოგადი უნარების, დამოკიდებულებების და შესაძლებლობების პირველადი ჩანაწერების სტანდარტიზაცია გულისხმობს: ჩანაწერების ფორმულირებების წესების დაცვის გადამოწმებას, ასევე, საერთაშორისო ტაქსონომიებთან მიმართებაში პირველადი ჩანაწერების ანალიზს. ამ ეტაპზე, ასევე, ხდება იმის უზრუნველყოფა, რომ ამოცანებსა და მოვალეობებში სრულად იყოს ასახული ზოგადი უნარები და საკვანძო კომპეტენციები. ანალიზის შემდეგ მიღებული ჩანაწერები გამზადებულია პროფესიულ საგანმანათლებლო სტანდარტში შესატანად - სწავლის შედეგების სახით.

სტანდარტიზებული ჩანაწერები უბრუნდება ინიციატორს განხილვისა და დადასტურებისთვის.

ბ) ვალიდაცია

ინიციატორის მიერ მოწოდებული დადასტურებული - პროფესიის სტანდარტის მეორე პროექტი გადის ვალიდაციას გამოკითხვის ან ფოკუს ჯგუფის გზით. კერძოდ, კვლევაში მონაწილე რესპონდენტი ავსებს სტანდარტიზებულ კითხვარს, სადაც განსაზღვრავს, რამდენად

რელევანტურია კონკრეტული პროფესიისთვის საერთაშორისო ტაქსონომიებით განსაზღრული განზომილებები.

დარგობრივი ფოკუს ჯგუფის შემადგენლობა განისაზღვრება მიზნობრივ შერჩევის პრინციპით (არანაკლებ 5, არაუმეტეს 25 წევრი), შესაბამისი დარგის და პროვაიდერ ორგანიზაციების წარმომადგენლების, პროფესიული კვალიფიკაციების განვითარების სფეროში განათლების ექსპერტების ჩართულობით.

დარგობრივი პანელის მონაწილეები განისაზღვრება შერჩევის ალბათური მეთოდების გამოყენებით. დარგობრივი პანელის მინიმალური ზომაა 25, პანელის ზუსტი ზომა განისაზღვრება დარგის შესაბამისად - რეესტრში ერთეულების რაოდენობის (გენერალური ერთობლიობის ზომის) გათვალისწინებით.

დარგობრივი პანელები კომპლექტდება შემთხვევითი და მიზნობრივი შერჩევის პრინციპების ან მათი კომბინაციის გამოყენებით დარგის წარმომადგენლების, პროვაიდერებისა და კურსდამთავრებულების მონაწილეობით (სიის შესადგენად გამოიყენება რეესტრის მონაცემები).

დარგობრივი ფოკუს ჯგუფისა და დარგობრივი პანელის დაკომპლექტებას უზრუნველყოფს პროფესიული უნარების სააგენტო ან არსებობის შემთხვევაში დარგობრივი უნარების ორგანიზაცია.

ინიციატორი აყალიბებს პროფესიის სტანდარტის პროექტს და წარუდგენს მეთოდოლოგიური მხარდაჭერის ჯგუფს, შემდგომ ეტაპზე პროფესიის სტანდარტის პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტთან შესაბამისობის დადგენის მიზნით. შემდგომ ინიციატორი იწყებს მუშაობას პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის პროექტზე, რისთვისაც განესაზღვრება ვადა და წარუდგენს მეთოდოლოგიური მხარდაჭერის ჯგუფს.

მეთოდოლოგიური მხარდაჭერის ჯგუფი შეისწავლის წარმოდგენილ პროექტს, ადგენს მის შესაბამისობას პროფესიის სტანდარტთან, შეიმუშავებს რეკომენდაციებს და აწვდის ინიციატორს.

ინიციატორი აყალიბებს შეჯერებულ პროექტებს და წარუდგენს სააგენტოს.

პროცესის ამ ეტაპზე, დაინტერესებული პირების ჩართულობის უზრუნველსაყოფად, მნიშვნელოვანია დოკუმენტის საჯაროობა. საჯარო განხილვის მიზანია, პროექტში არსებული ხარვეზების ან/და რაიმე ტიპის ინფორმაციის დამატების შესაძლებლობების გამოკვეთა.

განხილვაში მონაწილეობა შეუძლია მიიღოს ნებისმიერმა დაინტერესებულმა პირმა. სააგენტოს ვებგვერდზე, ათი სამუშაო დღით ადრე, განთავსდება პროფესიის სტანდარტისა და პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის პროექტი/განახლებული პროექტი, ასევე ინფორმაცია საჯარო განხილვის თარიღის, ადგილისა და დროის შესახებ, შესაძლებელია პროცესის დისტანციურ რეჟიმში წარმართვა. გარდა ვებ-გვერდზე განთავსებისა პროექტი/განახლებული პროექტი უნდა გაეგზავნოს საგანმანათლებლო დაწესებულებებსა და

სხვა დაინტერესებულ პირებს, მათ შორის პროცესში მონაწილე მხარეებს - გამოკითხვებში მონაწილე ორგანიზაციებს.

მეთოდოლოგიური მხარდაჭერის ჯგუფი მონაწილეობს საჯარო განხილვაში და საჭიროების შემთხვევაში, შეიმუშავებს რეკომენდაციას ინიციატორისთვის. საჯარო განხილვაზე გამოკვეთილი საკითხები, მიწოდებული რეკომენდაციები და შეჯერებული პოზიციების შესაბამის დოკუმენტებში ასახვა უზრუნველყოფილ უნდა იქნას ინიციატორის მიერ. ამავე ეტაპზე ხდება დარგობრივი რუკასთან დაბრუნება, შეტანილი ინფორმაციის გადახედვა და მასში ცვლილებების შეტანა. ინიციატორი სააგენტოს წარუდგენს შემდეგ დოკუმენტაციას:

- განცხადება;
- პროფესიის სტანდარტისა და პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის საბოლოო/განახლებული პროექტი;
- მეთოდოლოგიური მხარდაჭერის ჯგუფის რეკომენდაცია (არსებობის შემთხვევაში);
- დარგობრივი რუკა;
- საჯარო განხილვის ჩატარების შესახებ ოქმი;
- ინფორმაცია საჯარო განხილვაზე დამსწრე პირთა შესახებ.

პროფესიის სტანდარტსა და პროფესიულ საგანმანათლებლო სტანდარტს ამტკიცებს სააგენტო. სააგენტო უზრუნველყოფს დამტკიცებული პროფესიის სტანდარტისა და პროფესიულ საგანმანათლებლო სტანდარტის რეგისტრაციას რეესტრში და საჯაროობას.

პროფესიის სტანდარტი ექვემდებარება გეგმიურ გადახედვას 5 წელიწადში ერთხელ განახლების ყველა ეტაპის დაცვით.

ინოვაციების დანერგვის ხელშეწყობის მიზნით, ახალი პროცესით განსაზღვრულია ე.წ. დინამიური ჩანაწერის ცნება, რაც გულისხმობს, რომ ზოგიერთი ველის (მაგ. მატერიალური რესურსი) ჩასწორება შესაძლებელი იქნება ორ წელიწადში ერთხელ, სადაც ყველა პროვაიდერს და დამსაქმებელს ექნება ინიციატივის წარმოდგენის უფლება, რომლებსაც განიხილავს სააგენტო და საჭიროები შემთხვევაში უზრუნველყოფს საჯარო განხილვის ორგანიზებას.

გარე ინიცირებით პროფესიის სტანდარტის ან პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის შექმნის/განახლების/გაუქმების პროცესის ეტაპები და აღწერა დარგობრივი უნარების ორგანიზაციის არსებობის შემთხვევაში, მათ შორის დარგობრივი უნარების ორგანიზაციის ინიცირება

ინიციატივის წარდგენის შემდგომ, სააგენტო ინიციატორს კონსულტირებას უწევს პროცესის ეტაპებთან და დარგობრივი რუკის შესწავლა/გადახედვასთან დაკავშირებით და საკითხის შემდგომი შესწავლის მიზნით, შემოსულ ინიციატივას უგზავნის შესაბამის დარგობრივი უნარების ორგანიზაციას.

პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის შექმნის შემთხვევაში, დარგობრივი უნარების ორგანიზაციის შემდგომში კოორდინაციას უწევს ქვემოთ მოცემული ეტაპებით განსაზღვრული პროცესების განხორციელებას მეთოდოლოგიური მხარდაჭერის ჯგუფის ჩართულობით:

- ინიციატორის მიერ პროფესიის სტანდარტის პირველი პროექტის და დარგობრივი რუკის ცვლილების პროექტის წარდგენა;
- ინიციატორის მიერ აღწერილი კომპონენტების მეთოდოლოგიური მხარდაჭერის ჯგუფის მიერ სტანდარტიზაცია და ინიციატორისთვის მიწოდება დადასტურების მიზნით;
- ინიციატორის მიერ პროფესიის სტანდარტის დადასტურება - მეორე პროექტის მიწოდება მეთოდოლოგიური მხარდაჭერის ჯგუფისთვის;
- მეთოდოლოგიური მხარდაჭერის ჯგუფის მიერ ვალიდაციის განხორციელება და ინიციატორისთვის მიწოდება;
- ინიციატორის მიერ შეჯერებული პროექტის შემუშავება და მეთოდოლოგიური მხარდაჭერის ჯგუფისთვის წარდგენა (შემდგომ ეტაპზე, პროფესიის სტანდარტის პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტთან შესაბამისობის დადგენის მიზნით);
- ინიციატორის მიერ პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის პროექტის შემუშავება და მეთოდოლოგიური მხარდაჭერის ჯგუფისთვის წარდგენა;
- მეთოდოლოგიური მხარდაჭერის ჯგუფის მიერ პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის პროექტის შესწავლა - პროფესიის სტანდარტთან შესაბამისობის დადგენა, რეკომენდაციების შემუშავება და ინიციატორისთვის მიწოდება;
- ინიციატორის მიერ პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის და პროფესიის სტანდარტის შეჯერებული პროექტების შემუშავება და დარგობრივი უნარების ორგანიზაციისთვის წარდგენა;
- დარგობრივი უნარების ორგანიზაციის მიერ შეჯერებული პროექტების სააგენტოსთვის მიეწოდება;
- სააგენტოს მიერ საჯარო განხილვის ორგანიზება;
- ინიციატორის მიერ, საჯარო განხილვის შედეგების გათვალისწინებით, დარგობრივი რუკის გადახედვა და ცვლილებების შეტანა; საბოლოო პროექტების დარგობრივი უნარების ორგანიზაციისთვის წარდგენა;
- დარგობრივი უნარების ორგანიზაციის მიერ დოკუმენტის დასამტკიცებლად წარდგენა სააგენტოსთვის;
- სააგენტოს მიერ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა პროფესიის სტანდარტისა და პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის დამტკიცების თაობაზე და დარგობრივ რუკასა და რეესტრში ასახვა.

პროფესიის სტანდარტის დამოუკიდებლად შექმნის შემთხვევაში, დარგობრივი უნარების ორგანიზაცია შემდგომში კოორდინაციას უწევს ქვემოთ მოცემული ეტაპებით განსაზღვრული პროცესების განხორციელებას მეთოდოლოგიური მხარდაჭერის ჯგუფის ჩართულობით:

- ინიციატორის მიერ პროფესიის სტანდარტის პირველი პროექტის და დარგობრივი რუკის ცვლილების პროექტის წარდგენა;
- მეთოდოლოგიური მხარდაჭერის ჯგუფის მიერ, ინიციატორის მიერ აღწერილი კომპონენტების, სტანდარტიზაცია და ინიციატორისთვის მიწოდება დადასტურების მიზნით;
- ინიციატორის მიერ პროფესიის სტანდარტის დადასტურება - მეორე პროექტის მიწოდება მეთოდოლოგიური მხარდაჭერის ჯგუფისთვის;
- მეთოდოლოგიური მხარდაჭერის ჯგუფის მიერ ვალიდაციის განხორციელება და ინიციატორისთვის მიწოდება;
- ინიციატორის მიერ შეჯერებული პროექტის შემუშავება და სააგენტოსთვის წარდგენა;
- სააგენტოს მიერ საჯარო განხილვის ორგანიზება;
- ინიციატორის მიერ, საჯარო განხილვის შედეგების გათვალისწინებით, პროფესიის სტანდარტის საბოლოო ვერსიის შემუშავება, დარგობრივი რუკის გადახედვა და ცვლილებების შეტანა, პროფესიის სტანდარტის დარგობრივი უნარების ორგანიზაციისთვის წარდგენა;
- დარგობრივი უნარების ორგანიზაციის მიერ დოკუმენტის დასამტკიცებლად წარდგენა სააგენტოსთვის;
- სააგენტოს მიერ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა პროფესიის სტანდარტის დამტკიცების თაობაზე და დარგობრივ რუკასა და რეესტრში ასახვა.

პროფესიული საგანმანთლებლო სტანდარტის განახლების შემთხვევაში, დარგობრივი უნარების ორგანიზაცია შემდგომში კოორდინაციას უწევს ქვემოთ მოცემული ეტაპებით განსაზღვრული პროცესების განხორციელებას მეთოდოლოგიური მხარდაჭერის ჯგუფის ჩართულობით:

- ინიციატორის მიერ პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის განახლებული ვერსიის და დარგობრივი რუკის ცვლილების პროექტის წარდგენა;
- მეთოდოლოგიური მხარდაჭერის ჯგუფის მიერ განახლებული პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის პროექტის შესწავლა, ინიციატორისთვის რეკომენდაციების მიწოდება, მათ შორის საფუძვლად არსებული პროფესიის სტანდარტის განახლების აუცილებლობის შესახებ;

- ინიციატორის მიერ რეკომენდაციების გათვალისწინებით, განახლებული პროექტების დარგობრივი უნარების ორგანიზაციისთვის წარდგენა;
- დარგობრივი უნარების ორგანიზაციის მიერ პროექტების სააგენტოსთვის მიეწოდება;
- სააგენტოს მიერ საჯარო განხილვის ორგანიზება;
- ინიციატორის მიერ, საჯარო განხილვის შედეგების გათვალისწინებით, დარგობრივი რუკის გადახედვა და ცვლილებების შეტანა, განახლებული საბოლოო პროექტების დარგობრივი უნარების ორგანიზაციისთვის წარდგენა;
- დარგობრივი უნარების ორგანიზაციის მიერ დოკუმენტის დასამტკიცებლად წარდგენა სააგენტოსთვის;
- სააგენტოს მიერ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა პროფესიულ საგანმანათლებლო სტანდარტსა და საჭიროებისამებრ პროფესიის სტანდარტში ცვლილების შეტანის თაობაზე და დარგობრივ რუკასა და რეესტრში ასახვა.

დამოუკიდებლად არსებული პროფესიის სტანდარტის განახლების შემთხვევაში, დარგობრივი უნარების ორგანიზაცია შემდგომში კოორდინაციას უწევს ქვემოთ მოცემული ეტაპებით განსაზღვრული პროცესების განხორციელებას მეთოდოლოგიური მხარდაჭერის ჯგუფის ჩართულობით:

- ინიციატორის მიერ პროფესიის სტანდარტის განახლებული პროექტის და დარგობრივი რუკის ცვლილების პროექტის წარდგენა;
- მეთოდოლოგიური მხარდაჭერის ჯგუფის მიერ განახლებული პროექტის შესწავლა და სტანდარტიზაცია; რეკომენდაციების შემუშავება და ინიციატორისთვის წარდგენა;
- ინიციატორის მიერ, რეკომენდაციების გათვალისწინებით, განახლებული პროექტის დარგობრივი უნარების ორგანიზაციისთვის წარდგენა;
- დარგობრივი უნარების ორგანიზაციის მიერ პროექტის სააგენტოსთვის მიეწოდება;
- სააგენტოს მიერ საჯარო განხილვის ორგანიზება;
- ინიციატორის მიერ, საჯარო განხილვის შედეგების გათვალისწინებით, დარგობრივი რუკის გადახედვა და ცვლილებების შეტანა; განახლებული საბოლოო პროექტის დარგობრივი უნარების ორგანიზაციისთვის წარდგენა;
- დარგობრივი უნარების ორგანიზაციის მიერ დოკუმენტის დასამტკიცებლად წარდგენა სააგენტოსთვის;
- სააგენტოს მიერ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა პროფესიის სტანდარტში ცვლილების შეტანის თაობაზე და დარგობრივ რუკასა და რეესტრში ასახვა.

პროფესიული საგანმანთლებლო სტანდარტის ან პროფესიის სტანდარტის გაუქმების შემთხვევაში, დარგობრივი უნარების ორგანიზაცია მონაწილეობას იღებს სააგენტოს მიერ ორგანიზებულ საჯარო განხილვაში.

დარგობრივი უნარების ორგანიზაციის მიერ პროფესიის სტანდარტის ან პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის შექმნის/განახლების/გაუქმების თაობაზე ინიცირების შემთხვევაში, პროცესი მოიცავს ყველა ზემოთ განსაზღვრულ ეტაპებს

სააგენტოს ინიცირებით პროფესიის სტანდარტის ან პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის შექმნის/განახლების/გაუქმების პროცესის ეტაპები და აღწერა დარგობრივი უნარების ორგანიზაციის არარსებობის და არსებობის შემთხვევაში.

სააგენტოს მიერ პროფესიის სტანდარტის ან პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის შექმნის/განახლების თაობაზე ინიცირების შემთხვევაში, სამუშაო იწყება მეთოდოლოგიური მხარდაჭერის ჯგუფის შექმნით და მოიცავს ყველა ზემოთ აღწერილ პროცესებს შესაბამისი ეტაპებით.

დარგობრივი უნარების ორგანიზაციის არსებობის პირობებში, სააგენტო აყალიბებს ინიციატივას პროფესიის სტანდარტის ან პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის შექმნის/განახლების/გაუქმების თაობაზე და მიმართავს მას შემდგომი რეაგირებისთვის, ხოლო პროცესი წარიმართება ზემოთ აღწერილი ეტაპების დაცვით.

სააგენტოს მიერ პროფესიის სტანდარტის ან პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის გაუქმების თაობაზე შესაბამისი დასაბუთებით ინიცირების შემთხვევაში, სააგენტო აორგანიზებს საჯარო განხილვას და შედეგების გათვალისწინებით, გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ სამართლებრივ აქტს გაუქმების შესახებ და ასახავს დარგობრივ რუკასა და რეესტრში.

7. რეკომენდაციები მეთოდოლოგიის შემდგომი განვითარებისთვის

მეთოდოლოგიის ძირითადი პრინციპების პილოტირება და გზამკვლევების შემუშავება

მოცემული მეთოდოლოგიით გათვალისწინებული ახალი მიდგომების სრულმასშტაბიან დანერგვამდე მნიშვნელოვანია, გათვალისწინებული იქნას ე.წ. საპილოტე ფაზა, რომლის ფარგლებში მოისინჯება ახალი მიდგომები და ინსტრუმენტები, შესაბამისად მოხდება, ემპირიულ მონაცემებზე დაყრდნობით, მათი სრულყოფა. საპილოტე ფაზა მოიაზრებს სულ მცირე ორი დარგის ფარგლებში შესაბამისი დარგობრივი რუკის შემუშავებასა და სტანდარტების ფორმირების ყველა ეტაპის გავლას.

ამავე ეტაპზე უნდა მოხდეს სტანდარტების შემუშავებით დაინტერესებული მხარეებისათვის დეტალური გზამკვლევის საბოლოო ვერსიების მომზადება სამუშაო ფორმებით, განმარტებებით და კარგი პრაქტიკის მაგალითებით.

კვალიფიკაციების ელექტრონული ბაზის ფორმირება, პროცესების დიგიტალიზაცია

ახალი მეთოდოლოგიით კვალიფიკაციების შექმნის/განახლების პირველი ციკლის განხორციელების პარალელურად უნდა მოხდეს კვალიფიკაციების ელექტრონული ბაზის ფორმირება. ბაზა გააერთიანებს სტანდარტიზებულ ჩანაწერებს პროფესიისა და პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტებიდან.

კვალიფიკაციების რეესტრი მსოფლიოში აღიარებული რეფერენციული სისტემის - ESCO-ს პრინციპებს დაეყრდნობა (ESCO - უნარების, კომპეტენციების, კვალიფიკაციებისა და პროფესიების ევროპული კლასიფიკაცია (The multilingual classification of European Skills, Competences, Qualifications and Occupations))[19].

ESCO-ში ინფორმაცია სამი განზომილების მიხედვით არის დაჯგუფებული. ეს განზომილებებია: კომპეტენციები, პროფესიები და კვალიფიკაციები. ამ პრინციპით აგებული რეესტრის გამოყენებისას, ნებისმიერი დაინტერესებული პირი მარტივად შეძლებს მისი პერსპექტივიდან ღირებული ინფორმაციის მოძიებას, ამოღებას და გამოყენებას სტანდარტების საერთო ან/და დაკავშირებულ კომპონენტებს შორის ბმების საშუალებით.

მაგალითად, დამსაქმებელი, სამუშაოზე აყვანის მიზნებისთვის, შესაძლებელია დაინტერესდეს კონკრეტული კომპეტენციებით, რომლებსაც გულისხმობს კვალიფიკაცია; პროვაიდერები, კარიერის დაგეგმვის სერვისების გასაძლიერებლად, გამოიყენებენ პროფესიისთვის აუცილებელი უნარების და შესაძლებლობების შესახებ ინფორმაციას; აპლიკანტებს შეეძლებათ მოიძიონ ინფორმაცია კვალიფიკაციების შესახებ მათი ინტერესების და ძლიერი მხარეების გათვალისწინებით.

[19] https://ec.europa.eu/esco/portal

რეესტრს საფუძვლად დაედება პროფესიისა და პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტების ჩანაწერების ელექტრონული ბანკი, რომელშიც შესაძლებელი იქნება ველების მიხედვით ჩანაწერების გაფილტვრა, დახარისხება, კვალიფიკაციების შედარება და მათ შორის მსგავსებების დადგენა.

ელექტრონული ბაზა, აგრეთვე, გაამარტივებს დარგობრივი რუკის დანართების ფორმირებას (კომპეტენციების საერთო სიის ჩამოყალიბებას) და კვალიფიკაციების შექმნის/განახლების პროცესისათვის სხვა მნიშვნელოვანი ანალიზის განხორციელებას.

ელექტრონული ბაზის ფორმირება დაიწყება ახალი მეთოდოლოგიით კვალიფიკაციების გადახედვის პირველი ციკლის ფარგლებში და მუდმივად განვითარდება კვალიფიკაციებზე მუშაობის პროცესის პარალელურად.

პარალელურად განხორციელდება სტანდარტების შექმნის/განახლების ბიზნესპროცესის ეტაპების დიგიტალიზაცია, რათა ინიცირებიდან ახალი პროდუქტის ან არსებულში ცვლილებების დამტკიცების და რეესტრში ასახვის/დაინტერესებულ მხარეთა ინფორმირების ჩათვლით სისტემა მაქსიმალურად ავტომატიზებულ რეჟიმში მუშაობდეს.

კვალიფიკაციების სტრუქტურის განვითარების გრძელვადიან მიზნებზე თანმიმდევრული მუშაობა

მოცემული მეთოდოლოგია წარმოადგენს ნაბიჯს შემდეგი გრძელვადიანი მიზნების განხორციელებისთვის:

- პროფესიისა და პროფესიულ საგანმანათლებლო სტანდარტებზე მუშაობის პროცესების საბოლოო გაერთიანება ერთ პროცესად - ორი სტანდარტის ჩანაცვლება კვალიფიკაციის აღმწერი ერთი დოკუმენტით. სასწავლო პროგრამების კომპეტენციებზე დაფუძნებული სტრუქტურის განვითარების და სტანდარტებზე მუშაობის პროცესების დაახლოების პარალელურად შესაბამისი ცვლილებების თანმიმდევრული შეტანა კანონმდებლობაში.

- სტუდენტებისათვის მოდულების არჩევითობის უზრუნველყოფა და ”micro credentials” სისტემის დანერგვა - მოდულების ციფრული რეესტრის ფორმირებისა და მოდულების ბანკის გამდიდრების პარალელურად ეტაპობრივად უნდა მოხდეს სტუდენტებისათვის არჩევითი ბლოკის გაფართოება როგორც ერთი სასწავლო პროგრამის შიგნით, ისე პროგრამებს შორის და მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლის ფორმატში. ეს პროცესი უნდა წარიმართოს ე.წ. ”micro credentials” სისტემის ფორმირების ევროპული ინიციატივის დანერგვის პარალელურად. ”micro credentials” წარმოადგენს აღიარების სპეციალურ ფორმას სწავლის იმ შედეგებისთვის, რომლებიც მიღწეულია მოკლეევადიანი კურსის ან მოდულის ფარგლებში. ”micro credentials” მიმართ ერთიანი ევროპული მიდგომის

ფორმირების მიზანი დაანონსებულია ევროკომისიის რეზოლუციაში (2021-2030)[20], უნარების განვითარების დღის წესრიგის დოკუმენტში[21] და ციფრული განვითარების სამოქმედო გეგმაში (2021-2027)[22]. ამჟამად, ევროკომისიის ინიციატივით მიმდინარეობს მუშაობა "micro credentials" ზუსტ დეფინიციასა და ევროპულ სტანდარტებზე, ისევე როგორც "micro credentials" ევროპული სისტემის ფორმირების სამოქმედო გეგმის შემუშავებაზე.

[20] European Commission. (2021). Council Resolution on a strategic framework for European cooperation in education and training towards the European Education Area and beyond (2021-2030)

[21] European Commission. European Skills agenda for sustanable competitiveness, social fairness and resilience. https://ec.europa.eu/social/main.jsp?catId=1223

[22] European Union (2021), Digital Education Action Plan. https://ec.europa.eu/social/main.jsp?catId=1223

8. დანართები:

დანართი 1: დარგობრივი რუკის ნიმუში

დანართი 2: მსოფლიო რეფერენციული დონეები/World Reference Levels (UNESCO-ს ინსტრუმენტი)

დანართი 3: პროფესიული ამოცანების/უნარების ტაქსონომია (პროფესიების საინფორმაციო ქსელისO*NET (The occupational information network))

დანართი 4: მსოფლიო უნარების ტაქსონომია/ Global Skills Taxonomy (მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის ინსტრუმენტი)

დანართი 5: სამუშაო კონტექსტის ტაქსონომია (პროფესიების საინფორმაციო ქსელისO*NET (The occupational information network))

დანართი 6: შესაძლებლობების, ცოდნის, სამუშაო სტილის, პროფესიული ინტერესებისა და პროფესიული ღირებულებების ტაქსონომიები (პროფესიების საინფორმაციო ქსელისO*NET (The occupational information network))

დანართი 7: კომპეტენციების რეესტრი

დანართი 8: საერთაშორისო გამოცდილების ანალიზი

9. გამოყენებული წყაროები:

Antonazzo L., Weinel M., Stroud D. (2020) Analysis of cross-European VET frameworks and standards for sector skills recognition

Auzinger,M., Fellinger, J., Luomi-Messerer, K., Mobilio,L., Ulicna, D., Zaidi, A. (2016). Study on International Sectoral Qualifications Frameworks and Systems. European Commission. Luxembourg: Publications Office of the European Union

Bacigalupo, M., Kampylis, P., Punie, Y., Van den Brande, G. (2016). EntreComp: The Entrepreneurship Competence Framework. Luxembourg: Publication Office of the European Union;

Brockmann, M., Clarke, L., Méhaut, P., & Winch, C. (2008). Competence-based vocational education and training (VET): The cases of England and France in a European perspective. Vocations and Learning, 1(3), 227-244.

Carretero, S.; Vuorikari, R. and Punie, Y. (2017). DigComp 2.1: The Digital Competence Framework for Citizens with eight proficiency levels and examples of use, EUR 28558 EN, doi:10.2760/38842

Castel-Branco, E. (2019). The Georgian National Qualifications Framework. Technical note

Change, W. O. (2015). OECD Reviews of Vocational Education and Training

Cedefop (2021). Spotlight on VET – 2020 compilation: vocational education and training systems in Europe. Luxembourg: Publications Office. http://data.europa.eu/10.2801/10.2801/667443

Cedefop. (2019a). Comparing Vocational Education and Training Qualifications: towards a European Comparative Methodology. Luxembourg: Publications Office.

Cedefop. (2019b). Overview of National Qualifications Framework developments in Europe. Luxembourg: Publications Office.

Cedefop. (2015a). Handbook for VET providers. Cedefop Reference series. Luxembourg: Publications Office of the European Union. Luxembourg: Publications Office.

Cedefop (2015b). The role of modularisation and unitisation in vocational education and training Luxembourg: Publications Office of the European Union

Cedefop (2014). Qualifications at level 5: progressing in a career or to higher education. Luxembourg: Publications Office of the European Union

Cedefop (2010). Changing qualifications. A review of qualifications policies and practices. Luxembourg: Publications Office of the European Union

Cuddy, N. and Leney,T. (2005). Vocational education and training in the United Kingdom. Short description. Cedefop panorama series. . Luxembourg: Publications Office.

De Beer, J., and Van Zyl, A. (2017). The factors that affect student integration into a TVET College

European Centre for the Development of Vocational Training (Cedefop) European Training Foundation (ETF); United Nations Educational, Scientific and Cultural Organization (UNESCO); UNESCO Institute for Lifelong Learning (UIL). (2019). Global inventory of regional and national qualifications frameworks 2017: volume I: thematic chapters.

European Centre for the Development of Vocational Training (Cedefop) European Training Foundation (ETF); United Nations Educational, Scientific and Cultural Organization (UNESCO); UNESCO Institute for Lifelong Learning (UIL). (2019). Global inventory of regional and national qualifications frameworks 2017: volume II: National and Regional Cases.

ETF (2014a). Making better vocational qualifications. Vocational qualifications systems in ETF partner countries

ETF (2014b). Quality assurance in Vocational Education and Training. A collection of articles.

European Commission. (2021). Council Resolution on a strategic framework for European cooperation in education and training towards the European Education Area and beyond (2021-2030)

European Commission. (2021). European Skills agenda for sustanable competitiveness, social fairness and resilience.

European Union. (2021). Digital Education Action Plan.

European Union (2019). Key Competences for Lifelong Learning. Luxembourg: Publications Office of the European Union

Finnish National Board of Education and authors. (2015). Inspiring and Strengthening the competence-based approach in all VET in Finland

Finnish National Board of Education and authors. (2019). Vocational qualifications in Finland

Gasskov, V. (2018). Development of Occupational Standards, qualifications and skills assessment. Technical report

Martens, L. (1999). Labor competence: emergence, analytical frameworks and institutional models.

Misko, J. (2015). Developing, approving and maintaining qualifications: selected international approaches, NCVER

OECD (2012). Post-secondary vocational education and training: pathways and partnerships. OECD

OECD (2010). Learning for jobs. Synthesis Report of the OECD Reviews of Vocational Education and Training

Pember, A., Bolton, C., Sims, D., Straw, S. and Taylor. A. (2019). 2019 Review of the Value of Vocational Qualifications. Slough: NFER

Slawinski, S. (2017). Polish Qualifications Framework. User's guide

Stewart, J. and Sambrook, S. (1995). The Role of Functional Analysis in National VocationalQualifications: A Critical Appraisal, British Journal of Education & Work

Todd, R., & Dunbar, M. (2018). Taking a whole of government approach to skills development. UNESCO Publishing.

World Economic Forum. (2020). The Future of Jobs Report 2020. Geneva: World Economic Forum.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო (2013). პროფესიული განათლების განვითარების სტრატეგია 2013 - 2020

Global Skills Taxonomy /მსოფლიო უნარების ტაქსონომია/ https://www.reskillingrevolution2030.org/reskillingrevolution/insights/skills-taxonomy/index.html

O*NET/ The occupational information network / პროფესიების საინფორმაციო ქსელი https://www.onetcenter.org/ombclearance.html

ESCO / The multilingual classification of European Skills, Competences, Qualifications and Occupations/ უნარების, კომპეტენციების, კვალიფიკაციებისა და პროფესიების ევროპული კლასიფიკაცია

https://ec.europa.eu/esco/portal